

პრეზიდენტი საგანგებო დავალებათა სამმართველოს ეწვია
A2



პრესომბუდსმენი
A3





"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები
A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 19 სექტემბერი, 2005 წელი. №208 (1068)

ფასი 50 თეთრი

## რევიუ
### ლაშა და განათლება



შეიქმნა მშობელთა ორგანიზაცია, რომლის წევრებიც აპირებენ, უფრო დაწვრილებით გადასინჯონ გამოცდების შედეგები და სარჩელიც შეიტანონ.

A5

## რევიუ
### დაბადების დღე - დიდი ლიახვის ხეობის ბავშვებთან ერთად



გუშინ "ნაბადში" განსაკუთრებული დღე იყო. დაახლოებით იმ დროს, როცა "პატრულის" დაბადების დღის აღსანიშნავად თავისუფლების მოედანზე მსოფლიოში ყველაზე დიდი ტორტი შემოაგორეს, ზეიმი "ნაბადშიც" დაიწყო.

A7

## რევიუ
### ჰიტლერი ევროპას ტურისტული რეჟიმისთვის ამზადებდა

გამარჯვების შემთხვევაში ნაცისტები ბერლინში მასშტაბური გასართობი ცენტრის აშენებას გეგმავდნენ. მას ტურისტების ყურადღება უნდა მიეპყრო. ამის შესახებ ნათქვამია 1940 წლის 23 ივლისით დათარიღებულ დოკუმენტში.

A8

## ამინდი

| | 15/09 | 16 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | 32 |
| ტყიბული | 31 | 31 |
| სოხუმი | 29 | 30 |
| დმანისი | 26 | 27 |
| გორი | 27 | 26 |
| ონი | 23 | 24 |
| ზუგდიდი | 33 | 32 |
| ახმეტა | 31 | 30 |
| გაგრა | 26 | 26 |
| სამტრედია | 33 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.2014 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2684 |
| რუბლი | 0.0633 |

ამბები A 2
ამბები A 3
ტენდერი A 4
რევიუ A 5
ტენდერი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# მადლობა პატრულს!



საქართველოს ჰყავს სრულიად ახალი პოლიცია, რომლითაც ამაყობს ჩვენი საზოგადოება.

*საქართველოს ტელეეთერით დღეში რამდენჯერმე გაჟღერებული ეს სიტყვები რეალურ საფუძველს მოკლებული სულაც არ გახლავთ. საპატრულო პოლიცია რომ საქართველოს ხელისუფლების ყველაზე წარმატებული პროექტია, ამაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, თითქმის, ერთსულოვანნი არიან. შეიძლება, ჯერჯერობით ნაადრევად ჩაითვალოს საუბარი პატრულის განსაკუთრებულ მიღწევებზე დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სამსახურმა, არსებობის ერთი წლის მანძილზე მოახერხა რადიკალურად შეეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციის მიმართ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველო ნომერ მეორე რეფორმატორი ქვეყანა ხდება

"გატარებული რეფორმების რაოდენობა არ არის ქვეყნის წარმატებულობის ინდიკატორი"

ეთერ მამულაშვილი
ნინო ნარჩემაშვილი

*გასულ კვირას ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი თავის "დაპიარების" კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა მისცა. მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52 პროცენტი) ისევ სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კვლევა აჩვენებს, რომ გასულ წელს ჩატარებული რეფორმების მიხედვით, საქართველო მეორე ადგილზეა. თუმცა ის ფაქტი, რომ ამ ნუსხაში გერმანია, ჰოლანდია და ფინეთი საქართველოს მოჰყვება, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ამას საქართველოს პრემიერ-მინისტრი თავადაც აღიარებს. გატარებული რეფორმების რაოდენობა რომ არ არის ქვეყნის წარმატებულობის მთავარი ინდიკატორი და რომ ჩვენს ხელისუფლებას გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ დარჩა, ხსენებული კვლევის ერთ-ერთი ავტორი, სიმეონ ჯანკოვიც შეგვახსენებს. ამ კვლევასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუებს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან და სიმეონ ჯანკოვთან.*



სეიმონ ჯანკოვი და ზურაბ ნოღაიდელი ერთობლივ ბრიფინგზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბრძოლა მომავლისათვის

## გერმანიის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები

გუშინ გერმანიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, სადაც გამარჯვებისთვის ორი უმთავრესი პარტია იბრძოდა. სოციალ-დემოკრატი გერჰარდ შრიოდერი და ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი ანგელა მერკელი არჩევნებს ქვეყნის მომავლისათვის გადამწყვეტ ბრძოლად აფასებდნენ.

საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე კი წინასწარი პროგნოზების გაკეთებაც საკმაოდ რთულია, რადგან, როგორც სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე მოსახლეობის 25 პროცენტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ვისთვის დაეჭირა მხარი. თუმცა, თუ მოსახლეობის ორი მესამედის განწყობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ანგელა მერკელს საკმაოდ დიდი შანსი აქვს, გახდეს პირველი ქალი-კანცლერი გერმანიის ისტორიაში, მაგრამ ეს მაინც კოალიციის ფორმირების მისსავე უნარზე იქნება დამოკიდებული.

წინასაარჩევნო კამპანიისას კი აქცენტები ძირითადად ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელებაზე, უმუშევრობის მაღალ დონესა და საერთაშორისო პოლიტიკაზე კეთდებოდა. ხმის მიცემამდე ანგელა მერკელმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა შრიოდერის მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის გამო. მერკელის თქმით, სოციალ-დემოკრატების მმართველობის 7 წლის განმავლობაში გერმანიაში უმუშევართა რიცხვმა 5 მილიონს გადააჭარბა.

**"ჩვენ არ დავიწყებთ ცრუ დაპირებების მიცემას გერმანიის განვითარების ტემპებთან დაკავშირებით, მაგრამ რეალურად შეგვიძლია გითხრათ, ხმა მიეცით ცვლილებებს, რადგან გერმანიას მომავალი სჭირდება,"** - განაცხადა ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა.

თუმცა, ეკონომიკური განვითარების საჭიროებაზე აქცენტები მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატებს არ გაუკეთებიათ. ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობაზე წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აქტიურად საუბრობდნენ სოციალ-დემოკრატებიც. სხვაგვარად რომ ითქვას, პარტიებს შორის აზრთა სხვადასხვაობას მხოლოდ რეფორმების განსხვავებული ხედვა იწვევდა. შრიოდერის აზრით, მერკელის წინადადება საგადასახადო და შრომის კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით, მეტისმეტად რადიკალურია. თანაც ყველაფერთან ერთად სოციალ-დემოკრატების ლიდერი მერკელს, თავის მხრივ, პოლიტიკური კურსის გამოც აკრიტიკებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მტყუან-მართალს გენერალური პროკურატურა გაარჩევს

## იუსტიციის სამინისტროსა და პატიმრების უფლებების დამცველთა შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია

*არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულების თავმჯდომარეს შოთა კოპაძეს შორის რამდენიმე თვის წინ დაწყებულმა დაპირისპირებამ ბოლო პერიოდში აშკარად კულმინაციას მიაღწია, რასაც, შესაბამისად, ბრძოლის არეალის გაფართოებაც მოჰყვა.*

თამარ კაციტაძე

**"დღეს შოთა კოპაძე უკვე მეათეხარისხოვანი გახდა, რადგან დაპირისპირებაში იუსტიციის მინისტრი ჩაერთო და თავისი უპასუხისმგებლო განცხადებებით საკუთარი პიროვნება გამოააშკარავა. სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც კემულარიასნაირი პიროვნებები ხელმძღვანელობენ ისეთ მნიშვნელოვან სისტემას, როგორიც იუსტიციის სამინისტროა. ისინი კი ზიანს აყენებენ არა მარტო საზოგადოებას, არამედ, პირველ რიგში - პრეზიდენტის ავტორიტეტს",** - განაცხადა ჩვენთან საუბარში იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარემ, თავისუფლების ინსტიტუტის წევრმა თეა თუთბერიძემ.

მოვლენებში, რომელსაც, პირობითად, თუთბერიძე-კოპაძის დაპირისპირება დაერქვა, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია რამდენიმე დღის წინ ჩაერთო და,როგორც ჩანს, აღნიშნული ბრძოლის სიმძიმეც საკუთარ თავზე აიღო. ბოლო პერიოდში სასჯელაღსულების დაწესებულებებში არსებულ განუკითხაობაზე მონიტორინგის საბჭოს და სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ, თითქმის, ყველა განცხადებას მინისტრი პირადად გამოეხმაურა.

პატიმრების უფლებების დამცველების მხრიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხემლძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების ახალი მიზეზი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან №1 საპყრობილეში პატიმრების გადაყვანა გახდა. როგორც მონიტორინგის საბჭოს და ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებმა გამოააშკარავეს, 55 პატიმარი საპყრობილეში ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე აღმოჩნდა, რაც კანონის სრულ იგნორირებას ნიშნავს. მოგვიანებით, ისიც გაირკვა, რომ ეტაპირებულ პატიმრებს შორის იყვნენ ისეთი განსასჯელებიც, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო და ამიტომ მათი უმრავლესობა უკან, ციხის საავადმყოფოში დააბრუნეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პრემიერმა ქიზიყელები ვენახში მოინახულა

*ტიბაანელ გლეხებს, დაგვიანებული რთველის გამო, ყურძნის მოსავალი მთლიანად უფუჭდებათ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კახეთში ჩადის, ვენახების შემოვლას ფეხით იწყებს და ქიზიყელი კაცის საყვედურებს ისმენს. "უპატრონო ქიზიყში" რთველი სექტემბრის პირველ რიცხვებში უნდა დაწყებულიყო.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთში ყველაზე ადრე რთველს სწორედ ქიზიყში იწყებენ. მაგრამ მოყვანილ მოსავალს, როგორც ტიბაანელები ამბობენ, ღვინის ქარხნები იმ დროს იბარებენ, როცა მარცვალი შრება და წონაში იკლებს. ასეთმა პრობლემამ ქიზიყში წელსაც ტრადიციულად იჩინა თავი. ამის გამო, ქიზიყელები უკმაყოფილებას მთავრობის მისამართით გამოთქვამენ, ხელისუფლება კი ფალსიფიკაციასთან ბრძოლაზე საუბრობს.

**"ჩვენ მიერ შერჩეული პრიორიტეტი, ძირითადად, ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში გამოიხატება. მინდა გითხრათ, რომ რაც უფრო ნაკლები იქნება ფალსიფიცირებული ღვინო, მით უფრო მეტი და სტაბილური იქნება თვითონ ყურძნის და სერთიფიცირებული ღვინის ბაზარი. და ამის შემდეგ, თავისთავად ექნებათ ლეგალური შემოსავალი როგორც ყურძნის გამყიდველებს, ისე ღვინის მწარმოებლებს,"** - განაცხადა გუშინ, სიღანაღის რაიონის სოფელ ტიბაანში სტუმრობისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უცნობი არჩევნები

## პრაიმერში "მემარჯვენეები" დაწინაურდნენ

*წინასწარი მონაცემებით, პირველ ოქტომბერს დაგეგმილ შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში ოთხი ოპოზიციური პარტია - "მემარჯვენე ოპოზიციია", "კონსერვატორები", "ლეიბორისტები" და "თავისუფლება", ერთიან კანდიდატებად სამ "მემარჯვენეს" და ორ "კონსერვატორს" დაასახელებენ. მართალია, შაბათს გამართული პრაიმერის ოფიციალური შედეგები დღეს გახდება ცნობილი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ოპოზიციონერებმა უკვე იციან, არჩევნებში ვისზე დადონ ფსონი.*

თამარ ასათიანი

17 სექტემბერს წინასწარი არჩევნები ხუთიდან ოთხ საარჩევნო ოლქში გაიმართა. არსებული მონაცემებით, ოთხიდან სამ საარჩევნო ოლქში "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლები ლიდერობენ. ისნის რაიონში, სავარაუდოდ, გიორგი მოსიძე ლიდერობს, შუახევში - ამავე ბლოკის კანდიდატი ედუარდ ნიჟარაძე, ტყიბულში - ნინო ქვარიანი, ბათუმში კი - "კონსერვატორი" ჯუმბერ თავართქილაძე.

შაბათს ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა შეინიშნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციონერებიც და პრაიმერის დამკვირვებლებიც აცხადებენ, რომ წინასწარ არჩევნებში 10 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. "ასეთი შედეგი იმის მაჩვენებელია, რომ ოპოზიციას პირველი ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს, რადგან, როგორც წესი, პრაიმერში საკმაოდ ცოტა ამომრჩეველი იღებს მონაწილეობას. ვინც გუშინ მოვიდა, მათ ჩვენი სჯერა. გაცილებით მეტი ამომრჩეველი დაგვიჭერს მხარს თავად არჩევნებზე," - აცხადებდნენ გუშინ კმაყოფილი ოპოზიციონერები.

მაგალითად, ლეიბორისტ პაატა ჯიბლაძის თქმით, **"იმის გათვალისწინებით, რომ პრაიმერი საქართველოში პირველად ტარდება, ამომრჩეველთა აქტიურობა საკმაოდ მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილი ხელისუფლების საქმიანობას კრიტიკულად აფასებს"**.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტი საგანგებო დავალებათა სამმართველოს ეწვია



საჩვენებელი წვრთნები.

თავისუფლების მოედანზე საპატრულო პოლიციის ერთი წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ ზეიმზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა პირველ სამმართველოს ეწვია.

პრეზიდენტმა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა პირად შემადგენლობას მიმართა, ახლად გარემონტებული ყაზარმა მოინახულა, ამავე სამმართველოს ახლად გარემონტებულ შტაბი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასადილო საზეიმოდ გახსნა.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ამ ბაზაზე იგი შინაგანი ჯარების ყოფილ სარდალთან გოგი თავთუხაშვილთან ერთად შარშან იმყოფებოდა და მას კარგად ახსოვს ბაზაზე არსებული მძიმე პირობები.

[illegible] "სიამაყის მთავარი წყარო" უწოდა.

[illegible] "ჩვენი დროის გმირი" უწოდა.

[illegible] სამმართველოს განსაკუთრებულ შემთხვევებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ევალება. პირველ სამმართველოში 500-მდე წევრი ირიცხება.

**ინტერპრესნიუსი**

# მტყუან-მართალს გენერალური პროკურატურა გაარჩევს

პირველი გვერდიდან

მომხდარს ორმაგი რეაგირება მოჰყვა. იუსტიციის სამინისტროს მხრიდან აღნიშნულ ინციდენტს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი რამაზ ღულაძე შეეწირა, რომელსაც ხელმძღვანელობა კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებდა. ღულაძის განცხადებით კი, ციხის საავადმყოფოში არსებულ განუკითხაობას თავად სამინისტროს თანამდებობის პირები აფარებენ ხელს. თავის მხრივ, პატიმართა უფლებების დაღვევის გამო, გენერალურ პროკურატურას სამართლებრივი შეფასება მოსთხოვა მონიტორინიგის საბჭომ და იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, რომლებმაც უკანონო ეტაპირების ბრძანება გასცეს.

გენპროკურატურამ მონიტორინგის საბჭოს განცხადებაზე რეაგირება მაშინვე მოახდინა და საქმის გამოძიებაც დაიწყო. თუმცა, პატიმრების უფლებების დამცველებსა და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირება ამით არ დასრულებულა. დაპირისპირებული მხარეები პრესკონფერენციას საპასუხო პრესკონფერენციებითვე პასუხობენ და მედიის საშუალებით ერთმანეთის მაკომპრომეტირებელ ფაქტებს ავრცელებენ.

იუსტიციის სამინისტროს და თავად მინისტრის მხრიდან ამ დღეებში ყველაზე ხშირად მონიტორინგის წევრების - თეა თუთბერიძის, მარიამ ჯიშკარიანის და ლანა გალდავას სახელები გაისმის, რომელებსაც, თურმე, პატიმრები უკანონოდ გადაჰყავდათ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში; და საერთოდ, იუსტიციის მინისტრი თვლის, რომ პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი საბჭოს წევრები თავად მფარველობენ კორუფციას, ხოლო სახალხო დამცველის აპარატი უკანონოდ ერევა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ფუნქციებში.

როგორც იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია ირწმუნება, ჯანმრთელი პატიმრების სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაში სახალხო დამცველის აპარატისა და მონიტორინგის საბჭოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მინისტრის თქმით, პატიმარი ლევან ცანავა, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მხოლოდ მარიამ ჯიშკარიანის დასკვნის საფუძველზე მოხვდა. პატიმარმა სამკურნალო დაწესებულებაში 8 თვე დაჰყო. ჩატარებული კომისიური შემოწმების შედეგად კი გაირკვა, რომ იგი ჯანმრთელი იყო.

მინისტრი კიდევ ერთ შემთხვევაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ჯანმრთელი პატიმარი გიორგი ჯოხაძე სამკურნალო დაწესებულებაში არა კომისიის დასკვნის საფუძველზე, არამედ სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის ლანა გალდავას მიერ საპატიმროში მიყვანილი ექიმ-ფსიქიატრის კონსულტაციაზე დაყრდნობით მოხვდა.

ამის საპასუხოდ, საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ მისი წარმომადგენლის მხრიდან კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია; სამაგიეროდ, მან მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს პარლამენტს წარუდგინა დეტალური ანგარიში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. თუმცა, გამოხმაურება ამ საკითხზე არ ყოფილა.

**"ჩვენ დეტალურად გვქონდა ის სქემა წარმოდგენილი, რა სქემითაც ხდება ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჯანმრთელი პატიმრების გადაყვანა, მაგრამ ამაზე არავინ დაფიქრებულა. ფულის აღება ხდება როგორც პატიმრების საავადმყოფოში მოსახვედრად, ასევე - მათი გაწერის დროსაც",** - აღნიშნა სოზარ სუბარმა, რომელიც თვლის, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დღემდე ფუნქციონირებდა უკანონო მაღაზია, რომლის არსებობის შესახებ აუცილებლად უნდა სცოდნოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და პასუხისმგებლობაც მას უნდა დაეკისროს.

იუსტიციის მინისტრის მისამართით კიდევ უფრო რადიკალურები იყვნენ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს წევრები, რომლებმაც ამჯერად თავად იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას პასუხისმგებლობის საკითხი დააყენეს. მონოტორინგის საბჭოს წარომადგენლებს მიაჩნიათ, რომ კემულარიამ მათ წინააღმდეგ კამპანია პენიტენციურ სისტემაში გამოვლენილ კანონდარღვევებზე საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით წამოიწყო.

**"იმის ნაცვლად, რომ კემულარიამ რეაგირება მოახდინოს თავის სისტემაში არსებულ დარღვევებზე და დაიწყოს ამ სისტემის რეალური შეცვლა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და დანაშაულებრივი ქმედებების გარეშე პირებისთვის გადაბრალებას ცდილობს. ამ დღეებში კემულარიამ იურისტისთვის შეუფერებელი იმდენი უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა, რომ ნორმალურ ქვეყანაში იგი თანამდებობიდან გადადგებოდა; მით უმეტეს, თავისი ქმედებით იმის ეჭვიც დაბადა, რომ იგი ან თავად არის კორუფციაში გარეული ან აშკარად მფარველობს აღნიშნულ დანაშაულს. არც ერთი შემთხვევა მას პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს",** - აცხადებეს თეა თუთბერიძე, რომლის კომპრომატადაც იუსტიციის სამინისტრომ პატიმრის ვიდეოჩანაწერი გაავრცელა, სადაც მონიტორინიგის საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან 2 ათასი დოლარის გამოძალვაზეა საუბარი.

თეა თუთბერიძე ამ ფაქტს სერიოზულად არ აღიქვამს და ხუმრობს: **"პატიმრებისგან აღებული თანხა შოთა კოპაძესთან და კოტე კემულარიასთან მიმქონდა".**

სამაგიეროდ, პატიმრის ნათქვამის სჯერათ იუსტიციის სამინისტროში და დარწმუნებულებიც არიან, რომ თუთბერიძის და მისი ახლობლების კორუმპირებულობას მალე აეხდება ფარდა; კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მაისურაძის განცხადებით, მონიტორინგის საბჭოს წევრები სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების სამედიცინო დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ღულაძეს იმიტომ იცავენ, რომ ისინი მასთან ერთად იყვნენ უკანონობაში გარეულები.

**"საბჭოს წევრები მას შემდეგ გააქტიურდნენ, როცა პატიმრების საპყრობილეში დაბრუნების შემდეგ მათი ოჯახის წევრებმა საავადმყოფოში გადასაყვანად გადახდილი ფულის უკან დაბრუნება მოითხოვეს. ამ ფაქტებზე იუსტიციის სამინისტროში უკვე საკმარისი მასალები არსებობს, რომლებიც გამოსაძიებლად გენპროკურატურაში გადაიგზავნება. სწორედ ამის ეშინიათ პატიმრების უფლებების დამცველებს",** - ამბობს მაისურაძე.

ერთი სიტყვით, ბრძოლაში გენერალური პროკურატურა და მართლმსაჯულებაც ჩაერთვნენ. მარიამ ჯიშკარიანი იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. თეა თუთბერიძეს კი სჯერა, რომ პრეზიდენტის მიერ შერჩეული საბჭოს წევრების ავტორიტეტს ვერ გასვრის კემულარია, რომლის წარსულიც ყველამ კარგად იცის.

# ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის თქმით, პრაიმერში "მემარჯვენე ოპოზიციის" კანდიდატების წარმატებაზე ლაპარაკი სასაცილოა. "რა წარმატებასა და რა სერიოზულობაზეა ლაპარაკი, როცა არჩევნებზე რეგისტრირებული ამომრჩევლის 1-2 პროცენტი მოდის? კანდიდატი რომ წარმატებულად გამოცხადდეს, მან რეგისტრირებული ამომრჩევლის ერთი მესამედის ხმა მაინც უნდა მიიღოს. მათი ამ "წარმატების" მარტივი დემონსტრირება 1 ოქტომბრის მაჟორიტარული არჩევნების დროს მოხდება, როცა მათ იმდენივე ამომრჩეველი დაუჭერს მხარს, რამდენმაც პრაიმერში დაუჭირა. ჩემს კომენტარსაც 2 ოქტომბერს გავაკეთებ. ახლა მათთან თამაშის დრო არ მაქვს," - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი მეგი გოცირიძე პრაიმერში მონაწილე ოპოზიციურ პარტიებს არასახელმწიფოებრივ აზროვნებაში ადანაშაულებს. როგორც გოცირიძემ განაცხადა, პრაიმერში მონაწილე პარტიებმა ახლად შეღებილი შენობების ფასადებზე "კოლექტიური სარეკლამო ფოტოები გამოფინეს". მეგი გოცირიძის განცხადებით, ოპოზიცია ქალაქის იერსახის შენარჩუნებას არ უფრთხილდება. გოცირიძის ამ განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებას ოპოზიციაში აკეთებენ. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ ისანში ახლად შეღებილ ფასადებზე სარეკლამო პლაკატების გაკვრა მათი პროტესტის ნიშანია, რადგან ხელისუფლებას ქვეყნის განვითარების არასწორი პრიორიტეტები გააჩნია. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს, ვენაში, ავსტრიის და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების პატრონაჟით, გაიხსნება კონფერენცია თემაზე: ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელი ქვეყნები და ევროკავშირის გაფართოების სამომავლო გეგმები. საქართველოდან კონფერენციაზე დასასწრებად გაემგზავრნენ პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ლაითაძე. კონფერენცია 23 სექტემბერს დასრულდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** შავი ზღვის შელფზე ნავთობის საძიებო სამუშაოების ჩატარების მიზნით, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში სხვადასხვა ნავთობკომპანიასთან მოლაპარაკებებს მართავს. "აფხაზეთს ნავთობის დიდი მარაგი აქვს. 1996 წლიდან შავი ზღვის შელფის გამოკვლევის შესახებ მოლაპარაკებებს რუსულ კომპანიებთან ვაწარმოებთ. ვიმედოვნებ, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე მოლაპარაკებები გადამწყვეტ ბაზაში შევა," - აცხადებს ბაღაფში. მისი თქმით, ზღვაში ნავთობის საბადოები აფხაზეთის სანაპირო ზოლიდან 9-10 კმ-შია განლაგებული. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ე.წ. საერთაშორისო კონფერენციის "პარალელური დსთ: აფხაზეთი, დნესტრისპირეთი, "სამხრეთ ოსეთი" და მთიანი ყარაბაღი" ფარგლებში, მოსკოვში მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: "კონფლიქტის ზონებში რწმენის თავისუფლების შესახებ". მრგვალი მაგიდის ორგანიზატორი მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის ადამიანის უფლებათა კომისია იყო. მასში საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ისინი ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ რელიგიაში ნაციონალური იდეოლოგია წარმოადგენს უმთავრეს კომპონენტს ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე მყოფი ერის ნაციონალური იდენტურობისა და არსებობისთვის. ასეთი თეორიის შესახებ მრგვალ მაგიდაზე ისაუბრა მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტის თანაშემწემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დავიდ ბაბაიანმა. მან, აგრეთვე, მოუწოდა კოლეგებს, რომ რწმენა პოლიტიკის იარაღად არ გამოიყენონ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე დღეს დილით საჩვენებელი წვრთნები გაიმართება. გათამაშდება პირობითი სცენარი, რომლის მიხედვითაც, ტერორისტები რკინიგზის სადგურის აფეთქებას შეძლებენ. მრავალეროვნულ სამხედრო შემადგენლობას კი ურთიერთკოორდინაცია და მოწინააღმდეგის ლოკალიზაცია დაევალება, რაც, საბოლოო ჯამში, მშვიდობიანი მოქალაქეების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასა და მათ დაცვას ითვალისწინებს. ორკვირიანი პროგრამა, რომელიც ვაზიანსა და ჩაქვში ერთდროულად ხორციელდებოდა, სხვადასხვა სახის სწავლებებს ითვალისწინებს. ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე საჩვენებელ წვრთნებში მონაწილეობას მრავალეროვნული სამხედრო კონტინგენტი მიიღებს. პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში საქართველოში ამერიკის პატრონაჟით ხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

# კიევში დაკავებულ "ბათუმელ რომას" და "ბოქსიორას" საქართველოს გადმოსცემენ

კიევში კიდევ ერთი ქართველი კანონიერი ქურდი დააკავეს. უკრაინელი სამართალდამცველების ინფორმაციით, "ბათუმელი რომა" კიევში მეთაურობდა ქართველი კრიმინალებისგან შემდგარ დაჯგუფებებს, რომლებიც უკრაინის დედაქალაქში ბინის გაქურდვაში იყვნენ სპეციალიზებულნი.

უკრაინის მილიციამ იგი ლეპსეს ბულვარზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში დააკავა. ეჭვმიტანილს თან 8 საფულე და 4 ე.წ. "ბარსეტკა" აღმოაჩნდა.

"ბათუმელი რომა" კანონიერ ქურდად 2000 წელს მოსკოვში "მოინათლა". ის ბინის ქურდობის ბრალდებით უკვე რამდენჯერმეა გასამართლებული. უკანასკნელად სასჯელი ეჭვმიტანილმა 2002 წელს მოიხადა. ამავე წლის მარტში იგი უკრაინიდან 5 წლის ვადით გააძევეს, თუმცა ქართველი კანონიერი ქურდი ქვეყანაში არალეგალურად მაინც დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ უკრაინელმა სამართალდამცველებმა კიდევ ერთი ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდი, მეტსახელად "ბოქსიორა" დააკავეს. "ბოქსიორა" კიევის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, მან უკრაინის საზღვარი ყალბი დოკუმენტებით 2005 წლის ივნისში გადაკვეთა.

"ბოქსიორა" 1993 წელს საქართველოს შს სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის გატაცების, ყაჩაღური თავდასხმის, იარაღის ტარებისა და ტრანსპორტის უკანონო დაუფლებისთვის გაასამართლეს და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სწორედ ციხეში მოხდა მისი ქურდად "კურთხევა".

2005 წლის მაისში მან სასჯელი სრულად მოიხადა და მაშინვე დატოვა საქართველო. უკრაინის პოლიცია რამდენიმე თვის განმავლობაში იძიებდა მის ადგილსამყოფელს. არასასურველი სტუმარი კიევში "პობედას" პროსპექტზე დააკავეს,

"ბათუმელ რომას" და ბოქსიორას" სამშობლოში ექსტრადირება ელოდებათ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# უცნობი არჩევნები

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება დარღვევებს, დამკვირვებელთა თქმით, პრაიმერის დროს მნიშვნელოვანი დარღვევები მათ არ შეუმჩნევიათ (არჩევნებს "ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის", "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის", "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების", "ახალი თაობა - ახალი ინიციატივისა" და "დემოკრატთა კავშირის" წარმომადგენლები აკვირდებოდნენ).

თუმცა, პრაიმერს ექსცესების გარეშე მაინც არ ჩაუვლია. ბათუმში ერთმანეთს ოპოზიციის კანდიდატები დაუპირისპირდნენ. პარტია "თავისუფლების" წარმომადგენელი ჯემალ მაკარაძე "კონსერვატორების" მიერ ამომრჩევლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას აპროტესტებდა, რასაც შელაპარაკება მოჰყვა. თუმცა, საბოლოოდ, მოდავე კანდიდატები საკუთარი პარტიების აქტივისტებმა დააშოშმინეს.

საქართველოს პრეზიდენტმა კი პრაიმერის შესახებ არაფერი იცოდა. ყოველ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წინასწარი არჩევნების შესახებ მათგან შეიტყო.

# საქართველო ნომერ მეორე რეფორმატორი ქვეყანა ხდება

პირველი გვერდიდან

**ზურაბ ნოღაიდელი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი:**

**- თქვენი შეფასებით, საქართველოს რეფორმატორ სახელმწიფოთა სამეულში მოხვედრა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამატებითი მხარდაჭერის გარდა, კიდევ რას მოუტანს ქვეყანას?**

- ბუნებრივია, ეს ასეც იქნება, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა არც მანამდე აკლდა. მთელი ამ წლების განმავლობაში მხარდაჭერა საკმაოდ სერიოზული იყო, იმიტომ, რომ ამ რეფორმებს ჩვენ თავად ვახორციელებთ. თუმცა ის ფაქტი, რომ საქართველო მსოფლიოში არის ნომერ მეორე რეფორმატორი ქვეყანა, ბუნებრივია, ამით ჩვენი ქვეყანა უცხოელი ინვესტორების მხრიდან კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიიქცევს - მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ეს გამოკვლევა გამოქვეყნდა და მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში უკვე გავრცელდა. მთელი ამ დღეების განმავლობაში, საერთაშორისო პრესა, მათ შორის რუსული, ამაზე საუბრობდა. რუსული და უცხოური ინტერნეტ-გამოცემები ხაზგასმით მიუთითებდნენ იმას, რომ ამ კვლევის თანახმად დსთ-ს სივრცეში საქართველო პირველ ადგილზეა. თუმცა ჩვენთვის მთავარი მაინც სხვა რამ არის - კვლევის შედეგები არის ძალიან კარგი მესიჯი ინვესტორებისთვის, რასაც ამ გარდამავალ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

**- თუმცა სოციალური ფონი ქვეყანაში გასული ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. რატომ? იმიტომ, რომ რეფორმებიდან ჯერ კიდევ დიდი დრო არ გასულა თუ ის არასწორად ჩატარდა?**

- არა, ეს ასე არ არის. იმის მიუხედავად, რომ საერთოდ, როგორც წესი, რეფორმების შედეგები ჩქარა არ მიიღება და მას მოგვიანებით ვხედავთ ხოლმე, საქართველოში ჩატარებულმა რეფორმებმა საკმაოდ სწრაფად გამოიღო შედეგი. ამ კვლევაში ერთ-ერთი კომპონენტი, რომლითაც ჩვენ ალბათ პირველი ქვეყანა ვართ, ეს არის საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, შემოსავლების ზრდა. შემოსავლები კი შარშან 2003 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ გაიზარდა. რითაც ჩვენ უკანსკნელი წლების განმავლობაში დაგროვილი საპენსიო დავალიანებებისა და სხვა სოციალური ვალდებულების ერთბაშად დაფარვა თითქმის ერთი წლის განმავლობაში მოვახერხეთ. ამან კი სოციალური მდგომარეობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად გამოასწორა. ამ რეფორმას მოყვა მეორე, მესამე... გაიზარდა პენსიები, მერე იყო სხვა სერიოზული სოციალური პროგრამები, ამას მოყვა ინვესტიციები...

მხოლოდ სახელმწიფო ინვესტიციებმა ქვეყანაში შექმნა უამრავი დამატებითი სამუშაო ადგილები. ორი დღის წინ ბათუმში ვიყავი და იქ განხორციელებულმა მუნიციპალურმა ინვესტიციებმა 2700 ადამიანი დაასაქმა. ეს არის ძალიან დიდი განსხვავება წინა პერიოდთან შედარებით, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ქალაქებზე, ქვეყანაში შექმნილმა საინვესტიციო გარემომ, უფრო და უფრო მეტი ადამიანი დაასაქმა. შესაბამისად, სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორებულია, უფრო მეტიც ფორმალური ინდიკატორებიც ამისკენ მიანიშნებს. თუკი შარშანწინ ქვეყანაში უკიდურესი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ჩვენი თანამოქალაქეების დაახლოებით 15 პროცენტი ცხოვრობდა, 2005 წლის დასაწყისისთვის მათი რაოდენობა 7 პროცენტი იყო, თუმცა მეორე მხრივ ვაღიარებ, ამ მიმართულებით კიდევ ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა სოციალური მდგომარეობა ქვეყანაში რეალურად გამოსწორდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დინამიკაში, ადრინდელთან შედარებით მდგომარეობა მკვეთრად არის გამოსწორებული, თუმცა ეს ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ ჩვენ რეფორმატორთა შორის მეორე ვიყოთ, ჩვენი ამოცანაა, რომ ვიყოთ იმ 30 ქვეყანას შორის, სადაც ბიზნესის კეთება, წარმართვა არის იოლი. კვლევის ამ ნაწილში საქართველო მხოლოდ 100-ე ადგილზეა, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ გაისად ჩვენ ამ სიაშიც მოწინავე პოზიციას დავიკავებთ.

ასეთივეა ჩვენი ამოცანა სოციალურ სფეროში; ჩვენთვის მთავარი ის კი არ იყო, რომ 2003 წელთან შედარებით მდგომარეობა გამოსწორებულიყო 2004 ან 2005-ში, აბა, რა უნდა გვექნა? უნდა გამოგვესწორებინა და გამოვასწორეთ კიდეც. ჩვენი ამოცანაა, საქართველოში რეალურად უკიდურესი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ არც ერთი ჩვენი თანამოქალაქე არ ცხოვრობდეს. სწორედ ამ მიმართულებით ჩვენს მთელ ძალისხმევას მივმართავთ და "საბოლოო ჯამში, ამოცანებს შესრულებულად მხოლოდ მაშინ ჩავთვლით.

**- წელს ივლისში გამოქვეყნდა ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის Heritige Foundation ანგარიში, რომლის მიხედვითაც საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაუარესდა. ხომ არ მოდის ეს ორი კვლევა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში?**

- Heritige Foundation-ის კვლევას არაფერი საერთო არა აქვს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კვლევასთან. ამერიკული ინსტიტუტის წელს გამოქვეყნებული მოხსენება ძირითადად 2003 წლის შედეგებს ეყრდნობა. შესაბამისად შარშანწინ საქართველოში საინვესტიციო გარემო მართალც მკვეთრად იყო გაუარესებული და კამათიც არ ღირს, მაგრამ არის უფრო გვიანდელი პერიოდისთვის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, სტრუქტურების მიერ ჩატარებული გამოკვლევები, სადაც საქართველომ 90-100 ადგილიდან, 65-70-ე ადგილებზე გადმოინაცვლა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატება ერთ-ერთი თვალსაჩინო და შესამჩნევია იმ კვლევებშიც. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი ამოცანა კი არ არის, 90-დან პირობითად 65-ე ადგილზე გადასვლა, ჩვენი ამოცანაა, რომ ვიყოთ როგორც ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით, ისე ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლის თვალსაზრით, რეალურად წარმატებულ ქვეყნებს შორის, და არა მხოლოდ რეფორმატორ ქვეყნებს შორის. და როგორც ბატონმა ჯანკოვმაც აღნიშნა ეს გზა გასავლელია, ამ გზას გავივლით და გავივლით საკმაოდ სწრაფად.

**- ისევ მსოფლიო ბანკის ანგარიშს დავუბრუნდეთ. რამდენად სიღრმისეული იყო ეს კვლევა და ითვალსიწინებდა თუ არა ის გატარებული რეფორმების შედეგების ერთგვარ მონიტორინგს?**

- ბუნებრივია, რომ ეს კვლევა ამასაც ითვალისწინებდა. შედეგების გარეშე ამ ყველაფერს აზრი არ ექნებოდა. ისევ საგადასახადო ადმინისტრაციას რომ მივუბრუნდეთ - გადასახადების გადახდა - ასე ჰქვია ამ კვლევაში ერთ-ერთ გრაფას, სადაც საქართველომ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი? თუკი ერთ-ერთი გადამხდელი ყველა გადასახადს იხდის და მეორე საერთოდ არაფერს არ იხდის, ბუნებრივია, რომ იქ ვერანაირი საინვესტიციო გარემო ვერ იარსებებს. სამწუხაროდ ასეთები წლების განმავლობაში საქართველოში არც თუ ისე ცოტა იყვნენ. განსაკუთრებით კი მათი რაოდენობა ზედმეტად თვალსაჩინო გახდა 2003 წელს, რაც ერთ-ერთი მიზეზი ვარდების რევოლუციის. გახდა ამიტომ ამ მიმართულებით ჩატარებული რეფორმა რამოდენიმე შედეგს ნიშნავს; უპირველეს ყოვლისა, ყველა გადამხდელი იქნება თანაბარ პირობებში, რითაც საინვესტიციო გარემო მკვეთრად გაუმჯობესდება და გაუმჯობესდა, თუმცა ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლამ და გადასახადების უფრო უკეთესმა ადმინისტრირებამ გამოიწვია საქართველოში ბევრი ისეთი პროდუქციის წარმოების განვითარება, რომლებიც მანამდე მხოლოდ და მხოლოდ კონტრაბანდით შემოდიოდა. ბევრად მეტად ლეგალური გახდა ბიზნესი, ბევრად უფრო მეტი იყო შემოსავალი, რამაც, საბოლოო ჯამში, მოგვცა იმის საშუალება, რომ იგივე სოციალური პრობლემები, რომლებზედაც ჩვენ ვისაუბრეთ, მოგვეგვარებინა.

ძალიან ცოტა ქვეყანა აღწევს ასე სწრაფად რეფორმების შედეგებს. რეფორმებს როდესაც იწყებ, უნდა გესმოდეს, რომ ამის შედეგები შეიძლება შენ თვითონ ვერ ნახო და ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოების ასეთი შეფასება, ჩვენთვის და პირადად ჩემთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი.

**სიმეონ ჯანკოვი** - კვლევის ავტორი

**- რას მისცემს საქართველოს რეიტინგში დაკავებული მეორე პოზიცია?**

- რა თქმა უნდა, ასეთი უმაღლესი შეფასება მიიპყრობს ინვესტორთა ყურადღებას. ამას წარსულში ჩატარებული კვლევის შედებიც მეტყველებს და ჩვენ ვაკვირდებოდით, რომ როდესაც ქვეყანას ასეთი მაღალი მაჩვენებლები აქვს, ინვესტორთა ინტერესი იზრდება. მაგრამ ინვესტიციების მოძრაობა იწყება დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ, როცა რეფორმას რაიმე რეალური შედეგი მოყვება ხოლმე.

ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ეს გამოკვლევა მთავრობებისა და დონორების ყურადღების ცენტრში იყო. მაგალითისათვის, წინა კვირას, ათასწლეულის გამოწვევის პროგრამით ერთ-ერთმა დონორმა სერიოზული გრანტი გადასცა საქართველოს. ეს არის სიგნალი როგორც კერძო ინვესტორებისათვის, ასევე მთავრობებისათვის, რომ მხარი დაუჭირონ საქართველოს.

**- კვლევა საკმაოდ მასშტაბური იყო - გამოკვლეული იყო 155 ქვეყანა და მასში სხვადასხვა ქვეყნის 3500 ექსპერტი მონაწილეობდა. როგორი სპექტრით იყო მათ შორის წარმოდგენილი საქართველო?**

- საქართველოდან 50 ექსპერტი იყო მოწვეული და ისინი თითქმის ყველა კერძო სექტორის წარმომადგენელია. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავარი შედეგები არის კერძო სექტორიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ექსპერტების შერჩევა ჩემი გუნდის მიერ მოხდა.

მიმაჩნია, რომ რეალური ინფორმაცია კერძო სექტორის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების, რეფორმების თუ მათი მიმდინარეობის შესახებ, მხოლოდ კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ მოგვაწოდონ. შესაძლებელია მთავრობამ ახალი კანონი, ახალი წესი შემოიღოს ან რეფორმა გაატაროს, მაგრამ ამან რეალურად შედეგი არ გამოიღოს. ამ შემთხვევაში, თუკი კერძო სექტორი აცხადებს, რომ რეფორმის შედეგად მას არვითარი სარგებელი არ მიუღია, ჩვენ კვლევისას, რა თქმა უნდა, ამ რეფორმას არ ვითვალისწინებთ.

**- მთავარი გარემოება გახლავთ ის, რომ საქართველოში არსებული რეალური ვითარება რადიკალურად განსხვავებულია თქვენი რეიტინგის მაღალი შეფასებისაგან და აქ ბევრი კითხვის ნიშანი იბადება...**

- აქ მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქართველოში ექვსი წლის განმავლობაში ფაქტობრივად არც ერთი რეფორმა არ გატარებულა. როცა რეფორმა იწყება, თქვენ მის შედეგებს ორი წლის შემდეგ იღებთ.

**- მაგრამ ეს კვლევა 2004 წლის მონაცემების მიხედვით არის ჩატარებული. გასაგებია, რომ ასეთ მასშტაბურ კვლევას, სადაც 155 ქვეყანაა გამოკვლეული, დრო სჭირდება. ამდენად, საბოლოო მონაცემები მხოლოდ ახლა შეჯამდა. შედეგები კი უკვე სახეზე უნდა იყოს.**

- სხვა ქვეყნებმა, რომლებმაც საქართველოს მსგავსად, რეფორმირების გზა გაიარეს, შედეგი ორ წელიწადში მიიღეს. ასე რომ, მომავალ წელს საქართველოსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი შედეგი.

**- ნიშნავს თუ არა თქვენს კვლევაში ათვლის წერტილად აღებული რეფორმების რიცხობრივი რაოდენობა იმას, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ მიდის?**

- არა, ეს ინდიკატორად არ გამოდგება. მნიშვნელოვანია, ითქვას, რომ ინვესტორების დაცვის მხრივ არც ერთი რეფორმა არ გატარებულა. მაგრამ, ჩემი სუბიექტური აზრით, თუ მთავრობა სხვა სექტორებში აწარმოებს რეფორმებს, აქაც მოხდება რეფორმირება და თუკი საქართველოში ასეთი რეფორმა არ იქნება გატარებული, ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად იქნება აღქმული. ჯერ კიდევ პრობლემაა და ჩამორჩენაა საზღვართშორის ვაჭრობასთან მიმართებაში - რეფორმა აქაც არ განხორციელებულა.

# ბრძოლა მომავლისათვის

პირველი გვერდიდან

**"მან გერმანიის დისკრედიტირება შეძლო საზღვარგარეთ. მაშინ, როდესაც გერმანია ერაყში აშშ-ს შეჭრის ერთ-ერთი უმთავრესი მოწინააღმდეგე იყო, მერკელი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ვაშინგტონს. ჩვენ არავის ვაპატიებთ საზოგადოების გახლეჩის მცდელობას,"** - განაცხადა შრიოდერმა.

წინასწარი მონაცემების თანახმად, ქრისტიან-დემოკრატებმა ხმათა 41-43 პროცენტი მოაგროვეს. რაც შეეხება მათ მოკავშირეებს - "თავისუფალ დემოკრატებს", მათ 8 პროცენტი მოიპოვეს; ეს კი კოალიციის ფორმირების კარგ წინაპირობას ქმნის. იმ შემთხვევაში, თუ ხმების რაოდენობა მაინც არასაკმარისი აღმოჩნდება, ქრისტიან-დემოკრატებს უფრო ფართო კოალიციაზე დათანხმებაც მოუწევთ.

ანალიტიკოსთა შეფასებით, ვადამდელი არჩევნების ჩატარებით გერჰარდ შრიოდერმა პოპულარობის დაცემის პრევენციაზე იზრუნა და როგორც თავად აღნიშნა კიდეც - "ჩემი მომავალი კანცლერის პოსტის შენარჩუნებაა". მარცხის შემთხვევაში მას, დაპირებისამებრ, თანამდებობის დატოვება მოუწევს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მადლობა პატრულს!

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა, რომელიც ქმნის არსებითად ახალ პოლიციას და იგი იქნება მაგალითი მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში... საქართველო აგურ-აგურ შენდება და თქვენ ხართ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აგური ახალი სახლის მშენებლობაში. საპატრულო პოლიცია უნდა იყოს ისეთი გამჭოლი და ძლიერი, რომ ყველა გამაყობდეთ. მე თითოეული თქვენგანის გვერდით ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ თავი იგრძნოთ პრესტიჟული სამსახურის წარმომადგენლებად"**, - ზუსტად ერთი წლის წინ ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალ ფეხადგმულ საპატრულო პოლიციას. გუშინ თავისუფლების მოედანზე საპატრულო პოლიციის დაარსების ერთი წლის იუბილეს აღსანიშნავად მოწყობილ ზეიმზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა კი უკვე შედეგებზე ისაუბრა:

**"მთავარი ის არ არის, რომ თქვენ გაქვთ ახალი ფორმები, მთავარი ის არ არის, რომ გყავთ ახალი მანქანები, მთავარი ის არ არის, რომ გაქვთ მაღალი ხელფასები, მთავარია, რომ თქვენი სახით, საქართველოს ჰყავს სრულიად ახალი პოლიცია, რომლითაც ამაყობს ჩვენი საზოგადოება და ასე იქნება 100 წლის შემდეგაც".**

პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ: **"როდესაც ბავშვი ერთი წლის ხდება, იუბილეს არ აღნიშნავენ. თუმცა, საპატრულო პოლიცია ისე გაძლიერდა და იმდენად დიდი საქმე გააკეთა, რომ მისი იუბილე ნამდვილად აღნიშვნის და მოწონების ღირსია".**

ამის დასტურად მან ერთი წლის მანძილზე პატრულის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები დაასახელა. მისი თქმით, არსებობის ერთი წლის მანძილზე პატრულმა 5 000-ზე მეტი ადამიანი უბედურებისგან იხსნა, 300-ზე მეტი კი - სიკვდილისგან. მანვე ის სამი საპატრულო პოლიციელი გაიხსენა, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გმირულად დაიღუპნენ.



ჰიმნი პატრულის შესრულებით.

პრეზიდენტმა არც სასიამოვნო ამბები დაივიწყა და აღნიშნა, რომ საპატრულო პოლიციის ერთი წლის იუბილესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მადლობის სიგელი 1000-ზე მეტ პატრულს გადასცა, ხოლო 200-ზე მეტი წოდებას ვადაზე ადრე მიიღებს. თუმცა, გუშინვე საპატრულო პოლიციელთა მიმართ მადლიერების უფრო "ფასეულად" გამოხატვა - კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის საპატრულო პოლიციის რამდენიმე წარმომადგენელი ავტომანქანებითა და ბინებით დააჯილდოვეს.

"ნივას" მარკის ავტომანქანებით დაჯილდოვდნენ თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომელი - პაატა გიორგაძე, ზუგდიდის საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ელდარ ხვიჩავა, ბათუმის საპატრულო პოლიციის თანამშრომელი და ცოლ-ქმარი - ნინო მათიაშვილი და გიორგი ლაფარიშვილი. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს და თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელს ოროთახიანი ბინები გადაეცათ.

**"ავტომანქანებით და ბინებით მომავალ წელს უფრო მეტი პატრული დაჯილდოვდება. ხოლო ობიექტური შეფასების მიზნით, საჩუქრის მიმღებებს თვითონ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დაასახელებენ"**, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც საპატრულო პოლიციას, ასევე, დაპირდა ხელფასების, სულ ცოტა, 10 პროცენტით მომატებას, მანქანების რიცხვის გაზრდასა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას.

როგორც ირკვევა, საქართველოს საპატრულო პოლიცია დღეს 2600 პოლიციელს ითვლის. აქ ყველაზე დაბალი ხელფასი - 480, ყველაზე მაღალი კი - 1800 ლარია. რაც შეეხება მანქანებს, როგორც საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ზვიად ცაგარეიშვილმა გვითხრა, საქართველოში მოძრავ 280 საპატრულო მანქანას დეკემბერ-იანვარში მანქანების გარკვეული რაოდენობა დაემატება, რომელთა ნაწილს საპატრულოდ გამოიყენებენ, ნაწილით კი ავტოპარკი შეივსება.

ცაგარეიშვილისვე თქმით, საპატრულო პოლიციელების მუშაობის მაღალ დონეს მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და მაღალი ხელფასები როდი განაპირობებს, ისინი პერმანენტულად პროფესიულ მომზადებასაც იუმჯობესებენ:

**"უცხოელ პარტნიორების დახმარებით პერმანენტულად მიმდინარეობს ტრეინინგები, რომლებშიც თითოეული საპატრულო პოლიციელი იღებს მონაწილეობას. ეს ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, რადგან, როგორც ცნობილია, საპატრულო პოლიციელებმა წინასწარ მომზადება გაიარეს. შედეგი სახეზეა - პირველ დღეებთან შედარებით, პოლიციელთა პროფესიონალიზმის დონე გაცილებით ამაღლებულია. ამიტომაც, ასეთი ტრეინინგების ჩატარებას ჩვენ გარკვეული პერიოდულობით ვეცდებით,"** - აცხადებს ცაგარეიშვილი და პატრულის მუშაობის შედეგებზე საუბრობს:

**"საპატრულო პოლიციის მუშაობის შედეგების სტატისტიკურ მონაცემებს რომ გადავხედოთ, გასაოცარი მაჩვენებლებია - ახლად შექმნილმა ორგანიზმმა გასაოცარი შედეგები აჩვენა ქურდობის, ყაჩაღობის, თუ ქუჩის დანაშაულებათა გამოვლენისას. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საპატრულო პოლიციელთა უმეტესობას საპატრულო პოლიციაში მუშაობის დაწყებამდე პოლიციაში არასოდეს უმუშავია. სწორედ ასეთმა მაჩვენებლებმა გამოიწვია პატრულის მუშაობით მოსახლეობის კმაყოფილება".**

რამდენად გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, გუშინ, საპატრულო პოლიციის ერთი წლის იუბილეზე საქართველოს პრეზიდენტს არაფერი უთქვამს საპატრულო პოლიციის წარმატებული მუშაობის ფონზე კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებაზე; სამაგიეროდ, არაერთხელ ახსენა ნდობა, რომელიც პატრულმა საზოგადოებაში მოიპოვა. მან სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებიც მოიშველია და განაცხადა, რომ, თუ ადრე პოლიციას მოსახლეობის 5 პროცენტი ენდობოდა, ახლა 90 პროცენტზე მეტი ენდობა.

**"საკმარისია, ქმარმა ცოლს გადაბრუნებული სიტყვა უთხრას, რომ ცოლი მაშინვე საპატრულო პოლიციაში რეკავს. დეპრესიული განწყობის მქონე ადამიანიც საპატრულო პოლიციას მიმართავს. ეს ნიშნავს იმას, რომ პატრულისადმი ნდობა გაიზარდა",** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და იმ უზარმაზარი საზეიმო ტორტის გაჭრაშიც მიიღო მონაწილეობა, რომლის მსგავსი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს ჯერ არ უნახავს.

დაბოლოს, პატრულის იუბილეზე მიხეილ სააკაშვილი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტებსაც შეეხო.

**"მიმდინარეობს აფხაზეთის ანექსიის ინტენსიური პროცესი. ყველამ იცოდეს, სანამ მე ცოცხალი ვარ, ამას არ დავუშვებ. ყველამ იცის, რომ ცხინვალი კრიმინალების ბუდე გახდა და ისიც ცნობილია, რომ კრიმინალების დაფინანსება და მხარდაჭერა საზღვარგარეთიდან ხორციელდება. ჩვენ ცხინვალსა და აფხაზეთში კრიმინალს პოლიტიკური გზით და მშვიდობით აღმოვფხვრით. ამას ყველა ერთად გავაკეთებთ",** - განაცხადა პრეზიდენტმა.

**24 საათი**

# პრემიერმა ქიზიყელები ვენახში მოინახულა

პირველი გვერდიდან

თუმცა, როგორც ქიზიყელი გლეხები პრემიერთან საუბარში აცხადებდნენ, მთავრობის მიერ დაწყებული აქტიური ბრძოლა ფალსიფიკაციის აღმოსაფხვრელად სამართლიან და ძირეულ ხასიათს არ ატარებს და მას მხოლოდ კამპანიის სახე აქვს. თუმცა, დღეისთვის გლეხების მთავარი საფიქრალი მოსავლის დაბინავებაა.

**"ყურძენი 10-15 დღის წინ უნდა დაგვეკრიფა. ახლა კი მარცვალი ლპება და მას აღარც მარანი მიიღებს და არც კერძო კლიენტი იყიდის... ყურძენი 20 თეთრად როგორ გადავყარო, როცა შხამქიმიკატებისა და დიზელის საწვავის მაღალი ფასების გამო, მისი მოწამვლა და დამუშავება ათას ლარამდე მიჯდება?"** - ამბობს ტიბაანელი გიორგი დარინჯაშვილი, რომელიც თანასოფლელების მსგავსად, მოსავლის დაუბინავებლობაზე წუხს.

რეგიონის ღვინის ქარხნების უმეტესობას საკუთარი ვენახები აქვს და ღვინის დასამზადებლად თავის მოსავალს იღებს. ხოლო ისინი, რომლებიც გლეხებისგან ყურძნის მიღებას აპირებენ, როგორც ტიბაანელები ამბობენ, დროს შეგნებულად აჭიანურებენ და მევენახეებს უკვე დამშრალი ყურძნის გამო ჩალის ფასს სთავაზობენ. **"ქარხნებს ყურძნის რაც შეიძლება მაღალი შაქრიანობა უფრო აინტერესებს, ვიდრე ჩვენი სატკივარი. ჩვენ კი რა ვქნათ, მოსავალი რომ გვიფუჭდება?"** - კითხულობს ჯუგაანელი ვალიკო ბატიაშვილი.

სიღნაღის რაიონში სულ ორი ქარხანა და ერთი მინი-საწარმო ფუნქციონირებს, აქედან ერთ-ერთი თბილისის ექსმერის, ვანო ზოდელავას კუთვნილებაა. ეს ქარხანა საკუთარი მოსავლის გარდა, სავარაუდოდ, კიდევ 500 ტონა ყურძენს მიიღებს. პრემიერ-მინისტრი კი კახელებს იმედს აძლევს, რომ იმ საწარმოებზე, რომლებიც პრივატიზებული და უმოქმედოა, ზეგავლენის მექანიზმებს აამოქმედებს. **"მათ ისეთ პირობებს შევუქმნით, რომ ამოქმედდნენ,"** - აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

მთავრობასა და ქიზიყელებს შორის ვენახებში გამართული მწვავე დებატების თემა, რთველის საკითხთან ერთად, საწვავის გაძვირებაც იყო. მოსახლეობა ხელისუფლებას დიზელის გაიაფებას სთხოვს, რადგან თუ ეს პრობლემა შემოდგომამდე არ მოგვარდა, გლეხს მომავალი წლისთვის მიწის დამუშავება და ყურძნის მოყვანა გაუჭირდება. გარდა ამისა, პრემიერს სუბსიდიების უქონლობა და 2000 წლის მიწის გადასახადის პრობლემაც შეახსენეს, რომელიც წინა ხელისუფლებამ გვალვით დაზარალებულ კახელ გლეხებს მოუხსნა, თუმცა ამჟამად მათ ამ დავალიანების დაფარვას სთხოვენ.

**"ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. რაც შეეხება სუბსიდიებს სოფლის მეურნეობაში, მინდა გითხრათ, რომ ამის პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს. მაგალითად, ფრანგი გლეხი სუბსიდიებს მისი გადახდილი გადასახადებიდან იღებს. საქართველოში კი გლეხობა არც ერთ გადასახადს არ იხდის,"** - განუმარტავდა ნოღაიდელი ტიბაანელებს.

ყურძნის მოსავლის მონახულებით დაწყებული ვოიაჟი ზურაბ ნოღაიდელმა გურჯაანელი მევენახეების და სოფელ ველისციხეში ღვინის მწარმოებელი მიკროსაწარმოს მონახულებით დაასრულა. ხოლო კახეთში მოქმედი ღვინის ქარხნების დირექტორებს პრემიერ-მინისტრი დღეს საღამოს თბილისში შეხვდება.

ამჟამად კახეთს ელექტროენერგია მკაცრი გრაფიკით მიეწოდება, რის გამოც ღვინის ქარხნებს ყურძნის მიღება უძნელდებათ. დღევანდელ შეხვედრაზე ზურაბ ნოღაიდელი ამ საკითხსაც განიხილავს.

## მოკლედ

### დიდი პრივატიზაცია გრძელდება

დღეიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განაცხადების მიღებას 3 ობიექტის პრივატიზებაზე იწყებს. რუსთავში გაგარინის ქუჩა N12-ში მდებარე საამქროსა და მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ერთი მილიონი ამერიკული დოლარია. ამ ობიექტის ყიდვის მსურველმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, "ბეს" სახით, 100 ათასი დოლარი უნდა წარადგინოს. 150 ათას დოლარად იყიდება გარდაბანში, სოფელ კიკეთში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები. მესამე გასაყიდი ობიექტი შპს "მცირე ინვაზიური ქირურგიული ცენტრია", რომელიც თბილისში ვაჟა ფშაველას N29 მდებარეობს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აღნიშნულ ობიექტში 70 პროცენტიან სახელმწიფო წილს ყიდის. მისი საწყისი ფასიც 60 ათასი დოლარია.

პირველი ორი ობიექტი აუქციონის წესით, ხოლო მესამე ობიექტი კონკურსის წესით 20 ოქტომბერს გაიყიდება. განაცხადების შეტანის ბოლო ვადა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 19 ოქტომბერია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო მსოფლიო ბანკიდან 143 მლნ დოლარს მიიღებს

მსოფლიო ბანკმა საქართველოსთან ახალი, ოთხწლიანი თანამშრომლობის სტრატეგიული გეგმა დაამტკიცა. ახალი სტრატეგია 2006-2009 წლამდე პერიოდს და ქვეყნისათვის 143 მილიონი დოლარის ოდენობის თანხის გამოყოფას ითვალისწინებს.

საქართველოსთან თანამშრომლობის ოთხწლიანი პროგრამის ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის, ფინანსების და ბაზრის გაუმჯობესების გზით ბიზნეს-გარემოს განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; მოსახლეობის სოციალური დაცვისა და განათლების დონის გაუმჯობესება და კორუფციის დონის შესამცირებლად კერძო სექტორის მართვისა და საბიუჯეტო პროცედურების ეფექტურობის განმტკიცება.

დირექტორთა საბჭომ, ოთხწლიანი სტრატეგიის ფარგლებში, სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის პროგრამის პირველი ნაწილის დაფინანსებისათვის 20 მლნ დოლარის გამოყოფის გადაწყვეტილებაც მიიღო. აქედან, საქართველოს 6,5 მლნ გრანტის სახით გადაეცემა, ხოლო 13,5 მლნ დოლარი - შეღავათიანი კრედიტის სახით. კრედიტის დაფარვის ხანგრძლივობაა 40 წელი, აქედან პირველი 10 წელი შეღავათიანი პერიოდია, საპროცენტო განაკვეთი - წლიური 0.75 პროცენტი. **მედიანიუსი**

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე ნაპრალები აღმოაჩინეს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე არსებული ნაპრალების შესახებ კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმმა" (BP) სამინისტროს დაგვიანებით მიაწოდა ინფორმაცია.

სამინისტროსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (GIOC) მოთხოვნით, ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა დაიწყო. კერძოდ, ნავთობსადენზე არსებული ვითარების გასარკვევად გამოყენებული იყო "შეფუთვის შემოწმების ელექტრონული მეთოდი" (DCVJ), რომლის საბოლოო ანგარიშს BP უახლოეს დღეებში წარუდგენს სამინისტროსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას.

აღნიშნული პრობლემა მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებულმა ტექნიკურმა მრჩეველმაც შეისწავლა. ანგარიშში ნათქვამია, რომ პრობლემას შეფუთვის SPC 2888 ნივთიერების გამოყენება კი არა, არამედ ზოგ ადგილებში არასწორად შერჩეული ტემპერატურული რეჟიმი წარმოადგენს.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, იგი "ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის ხელშეკრულებით" (HGA) რეგულირდება, სადაც ნათქვამია, რომ ნებისმიერი სამშენებლო შეცდომით გამოწვეული ავარია BP-ს პასუხისმგებლობას წარმოადგენს . **მედიანიუსი**

### დეპუტატის მძღოლი ქორწილში დაჭრეს

დეპუტატ ვალერი გელაშვილის მძღოლი გოგიტა ლომიძე გუშინწინ, გვიან ღამით ქორწილში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაჭრეს. მას მუცლის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს.

როგორც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, ლომიძეს ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა ამჟერად სტაბილურია.

სამართალდამცველებმა აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილი ოპერატიულად დააკავეს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია დანა, რომლითაც ეჭვმიტანილმა ადეიშვილმა გოგიტა ლომიძე დაჭრა.

გოგიტა ლომიძე ვალერი გელაშვილის კუთვნილი სამშენებლო ფირმა "ევრას" დირექტორის, მეგი ლომიძის ძმაა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე, განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით, აღიძრა.

**ინტერპრესნიუსი**

## პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია

როგორც ყველას, ისე მეც ბევრი რამ მახსოვს საკუთარი სტუდენტობიდან. აი, თუნდაც ის რად ღირს, სახაჭაპურეში რომ შევედით მე და ერთი ჩემი მეგობარი და წუხანდელ ნაქეიფარზე მადა მქონდა დაკარგული. მაინც ვიკითხე, ხაჭაპური როგორია-მეთქი. "ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური" — მომიგო მეგობარმა...

მართლაც იყო ასეთი ფორმულა — ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური — ფორმულა, რომლითაც ახასიათებდნენ ხელოვნებას და, საერთოდ, კულტურას. იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი ამ ფორმულის მოშველიება მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: ხაჭაპური არ შეიცავდა ყველს.

მაინც რატომ გამახსენდა? ამას ადვილად მიხვდებით, თუ ჩემთან ერთად წაიკითხავთ **სოფო ბუკიას** მიერ 12 სექტემბერს გამოქვეყნებული მასალის ფინალს: "**ერთი უმნიშვნელო დეტალი: ქართველ "პატრიოტთა" პირველი ფორუმი 11 სექტემბერს შედგა. ცნობილი ტერაქტის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სწორედ 11 სექტემბერს აღნიშნავენ "პატრიოტთა დღეს" აშშ-შიც**". უმნიშვნელოა ვითომ ეს დეტალი? — ავტორი აშკარად ირონიას მიმართავს, ცდილობს, გავიაზროთ ეს გარემოება. მივყვეთ ავტორის ნებას და თან არ დაგვავიწყდეს **სალომე ზურაბიშვილის** საყვარელი ფრანგული გამონათქვამი, რომ ეშმაკი სწორედ დეტალებში ბუდობს.

ჯერ კი ამ ბრძნულ ანდაზაში ერთი კორექტივი შევიტანოთ, უფრო სწორად კი დეტალის ცნება გავაფართოოთ და ეშმაკის შესაძლო ადგილსამყოფელად მოვლენის კონტექსტიც განვიხილოთ. რა პოლიტიკურ კონტექსტში გაიმართა "პატრიოტთა" ფორუმი? ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს კონტექსტი პარლამენტის და, შესაბამისად, პარლამენტარიზმის დისკრედიტაციის შემდგომი საფეხურით უნდა ხასიათდებოდეს. და რადგან საქართველოში იდეების დისკრედიტაცია არ ხდება, უფრო ზუსტად, ამას არავინ დაგიდევთ, საქმე აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ ადამიანებს და მათ მიერ ავტორიტეტის დაკარგვას. გადავხედოთ სათაურებს: **13 სექტემბერი**: *არდადეგები დამთავრდა, დიალოგი არ იწყება*; **14 სექტემბერი**: *პოლიტიკური ფოლკლორის დღე პარლამენტში*; *ბექაურის "მძიმე ჯვარი"*; **15 სექტემბერი**: *არშემდგარი გმირი*; *კინოსტუდია "ფიფია-ფილმი" გვიჩვენებს*. იქნებ გგონიათ, გაზეთს ვსაყვედურობდე პარლამენტის მიმართ ერთობ სარკასტული დამოკიდებულებისთვის? — სულაც არა, ამჯერად დამოკიდებულება სხვაგვარი არ იქნება. ეს მართლაც ის შემთხვევაა, როცა სარკაზმი და ობიექტურობა სავალალოდ თანხვდება ერთმანეთს. მაგრამ ობიექტური უბედურების შედეგი ერთია: რაც არ უნდა პრიმიტიულად გვეჩვენოს თვალსაზრისი, რომ პარლამენტში ქურდები და უსაქმურები სხედან, თვით მოვლენები გვიჩვენებს, რომ ეს ყველაზე ბუნებრივი დასკვნაა.

ახლა კი ისევ "პატრიოტთა" ფორუმს დავუბრუნდეთ და მოვუსმინოთ თავდაცვის მინისტრს, **ირაკლი ოქრუაშვილს** (მე კი ვდარდობდი, სად დაიკარგა-მეთქი): "**დავით აღმაშენებლის ეპოქის შემდეგ არავის ჰქონია საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების ისეთი შანსი, როგორიც დღევანდელ თაობას აქვს ... თქვენ არ უნდა გაუშვათ ეს შანსი ხელიდან**". აი, ზარ-ზეიმი! აი, ტრიუმფი! ამჩნევთ, როგორ განსხვავდება ეს ხალასი სიტყვები საპარლამენტო მანჭვა-გრეხისა და შაირობისაგან? იმდენად გაგვაყრუა დაფმა და ნაღარამ, რომ ამ სიტყვებში დაფარულ ურიცხვ წინააღმდეგობას ვერ ვამჩნევთ. წინააღმდეგობები კი მართლაც ურიცხვია, შეკითხვები კი უფრო მეტი. აი, რამდენიმე მათგანი:

1) ვიყოფთ თუ არა ამ ძვირფას შანსს ჩვენ, ვინც 1990 წელზე ადრე დავიბადეთ?

2) მაინც რა გონივრულად დასაბუთებული პარალელი შეიძლება გავავლოთ დავით აღმაშენებლისა და დღევანდელ საქართველოს შორის?

3) რომელი იდეოლოგიის თანახმად შეიძლება გავამართლოთ ის, რომ ეთნოკონფლიქტების მოგვარებას საქართველოს გაერთიანებად მოვიხსენიებთ?

4) ბოლოს და ბოლოს იქნებ ვინმემ დალაგებულად აგვიხსნას, როგორ ეთანხმება ხელისუფლების კონკრეტული ქმედებები იმას, რასაც ხელისუფლება საქართველოს გაერთიანებას უწოდებს?

ერთი მხრივ, შეიძლება ვინმემ რწყილის გატყავებას შეადაროს ჩემი წიაღსვლები. მართლაც, განა თვით ასეთი ფორუმები იმისთვის არ არსებობს, რომ მათზე ათასგვარი სისულელე ითქვას? მაგრამ ერთი წუთიც მოითმინეთ და გასაგები გახდება, რისთვის ვირჯები. აი, ნაწყვეტი თვით საქართველოს პრეზიდენტის სიტყვისა: **"11 სექტემბერი კრწანისის ომში დამარცხების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბოლო დღეა... გპირდებით, რომ ჩემი პრეზიდენტობის**




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



**პერიოდში, თქვენი დახმარებით, საქართველოს ისტორიაში მსგავსი ფურცლები არ ჩაეწერება**". ეს რაღას ნიშნავს? ეს როგორღა ითარგმნება? — საქმეში ღრმად ჩახედულმა კაცმა შეიძლება ასეც თარგმნოს: "ბოლობოლო მოვახერხებთ იარაღის ირანში გაყიდვას და იქიდან გაბრაზებული ალა-მაჰმად-ხანი აღარ დაგვემუქრება". მაგრამ მე არ გახლავართ საქმეში ღრმად ჩახედული კაცი, ამიტომაც ჩემის დამპალის ინტელექტუალიზმით სულ სხვანაირად შევაფასებ ამ გამონათქვამს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქმე გვაქვს ჩანაცვლებასთან. კრწანისის ომი და სახელმწიფოებრიობის ბოლო დღე მართლაც მითიური საფრთხეა. **მიხეილ სააკაშვილს** შეეძლო ამგვარადვე დაჰპირებოდა ახალგაზრდებს, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს არ დაემუქრება არგონავტების ლაშქრობა, ჩინგის ყაენის ურდოთა შემოსევა და დიდი გამყინვარება. რეალური საფრთხე მითიურითაა ჩანაცვლებული. ეს რეალური საფრთხე რაღაა?

ადვილი შესამჩნევია, ბატონებო. საკმარისია ყურადღებით მიმოვიხედოთ ირგვლივ. ოღონდ ფრთხილად: ვინც სინამდვილის მიმართ ზედმეტ ყურადღებას იჩენს, მას ბ-ნი სააკაშვილი "ურწმუნო თომათა არმიაში" რიცხავს. ჰოდა, ფრთხილად მიმოვიხედოთ...

უბედურება შინაც გვეყოფა. მაგრამ ამჯერად არაფერს ვიტყვი, ემანდ რამე არ შემეშალოს, რამე არ გამომრჩეს. მხოლოდ ერთ პარალელს მივმართავ, რომელიც გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ამ შემთხვევისთვის, ვიდრე დავით აღმაშენებელი ან ერეკლე მეორე. ვგულისხმობ სრულიად რუსეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციას "ერთად მავალნი" (Идущие вместе). ამ ორგანიზაციის დაბადების თარიღია 2000 წლის 28 მაისი (საბჭოთა კავშირში ამ დროს მესაზღვრის დღე აღინიშნებოდა, სასაზღვრო ჯარები კი უშიშროების კომპეტენციაში იმყოფებოდნენ). რა თქმა უნდა, რუსეთში ამ "პატრიოტებს" (მეტ-ნაკლებად პატიოსანი ხალხი მათ "პუტინ-იუგენდს" უწოდებს) კულტურის მინისტრის მოადგილე არ ხელმძღვანელობს — "ერთად მავალნი" საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და თითქოს "ქვემოდან" წამოსული ინიციატივით წარმოიშვა. ასე წარმოიშობოდა ხოლმე უცხო ქვეყნების "პროგრესული" მთავრობები საბჭოთა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე — ბ-ნ სააკაშვილს ალბათ ბავშვობიდან ესმოდა სხვადასხვა ნახევრად-გასაიდუმლოებული ისტორიები ამის შესახებ, რადგან ასეთი ისტორიებით ხშირად უყვარდათ ხოლმე ტრაბახი სახელმწიფო საიდუმლოებებთან ახლო მყოფ საბჭოთა ფუნქციონერებს.

"ერთად მავალთა" საერთო რიცხვი 16 ათასადაა შეფასებული. ისინი ორგანიზებულნი არიან ხუთეულებად — ზუსტად ისე, როგორც XIX საუკუნის ცნობილი რუსი ტერორისტი, **ნეჩაევი** ურჩევდა ყველა რადიკალს და როგორც ეს **თევდორე დოსტოევსკიმ** აღწერა რომანში "ეშმაკნი". ყოველი ხუთეულის ხელმძღვანელს აქვს პეიჯერი და ვალდებულია ხუთეულის წევრებს ხუთი საათის განმავლობაში "ნებისმიერ ფასად" გადასცეს ბრძანება საჯარო აქციაზე გამოცხადების შესახებ. რუსული ახალგაზრდული მოძრაობის აქტივისტები, რომელთა ანტურაჟში მთავარი საგანი ეროვნული დროშაა, მრავალ საჯარო აქციას მართავენ. აქციათა მიმართულება აშკარაა: პუტინის ხელისუფლების მხარდაჭერა. ამასთან ერთად, ეს პატრიოტი ყმაწვილები ანათემას გადასცემენ საუკეთესო რუს მწერლებს — **ვლადიმირ სოროკინს**, **ვიქტორ პელევინს**, **ვიქტორ ეროფეევს**, ხმას იხლეჩენ **ბერეზოვსკისა** და **გუსინსკის** გინებით.

არ ვამტკიცებ, რომ ეს რუსული მოძრაობა ახლად გამომცხვარ ქართველ პატრიოტთა პირდაპირი არქეტიპი იყო. ამის მტკიცება არ მჭირდება. მე სულ სხვა მხრივ მსურს მივმართო მკითხველის ყურადღება: რისთვისაა საჭირო "ერთად მავალთა" საჯარო აქციები? მათ ხომ ყველა აგინებს: ხანდახან პუტინის მინისტრებიც კი უსაყვედურებენ — ასეთ ანტიდემოკრატიულ სულისკვეთებას არ ვიზიარებთო. კითხვაზე მრავალი პასუხი არსებობს: ჩვენი ნორჩი აქტივისტები მოწინააღმდეგესაც აშინებენ და მომხრესაც სასურველ შუქზე გამოაჩენენ. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, ყველაზე მნიშვნელოვანი: საჯარო აქციები განპირობებულია შინაგანი აუცილებლობით. ორგანიზაციამ, როგორიც არ უნდა იყოს ის, რაღაც უნდა აკეთოს. თუ არაფერს იზამს, დაჭკნება და დაიშლება, საბრძოლო სულისკვეთებას დაკარგავს. ეს იცის ყველამ, ვინც ერთხელ მაინც დაფიქრებულა, რისთვის სჭირდება ჯარს მანევრები მშვიდობიან დროს - არა მარტო საწვრთნელად, არამედ საარსებოდ.

ახლა კი მთავარი შეკითხვა: რა უნდა აკეთონ ჩვენმა "პატრიოტებმა"? მარტო საზაფხულო ბანაკებითა და საქართველოს ისტორიაზე საუბრებით შეუძლებელია სიმტკიცის შენარჩუნება. აქ არც ზემოდან დაგეგმილი ღონისძიებები უშველის საქმეს - ასე ნებისმიერი ორგანიზაცია უბრალოდ მუქთამჭამელთ და ხიზანთა თავშესაფრად იქცევა. წევრები თავისი ინიციატივით უნდა მოქმედებდნენ, ყოველ შემთხვევაში, ამის ილუზია უნდა ჰქონდეთ. როგორიც არ უნდა იყოს რომელიმე გაერთიანების შემქმნელთა ან სულისჩამდგმელთა ფარული თუ ცხადი მიზანი, გაერთიანების წევრებმა თუ არ იგრძნეს საკუთარი ძალა, თუ არ შეიქმნეს თუნდაც შეზღუდული ასპარეზი რეალური ქმედებებისთვის, ეს მიზანი შეუსრულებელი დარჩება, გაერთიანება კი ნელ-ნელა ჩაკვდება და საბოლოოდ შეწყვეტს არსებობას.

ასე რომ, თუ სულ მალე ჩვენმა "პატრიოტებმა" რაიმე მეგობრული, ცალყბა ღიმილით შერბილებული საყვედური არ მიიღეს ხელისუფლების წევრთაგან, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი არსებობის მთავარი მიზანი (როგორც ეტყობა, ეს პრეზიდენტ სააკაშვილის მომავალი საარჩევნო კამპანიაა) ჩაშლილად შეიძლება გამოვაცხადოთ. ეს არაა უქმი მსჯელობა, საქმე გვაქვს უბრალო კანონზომიერებასთან, ისეთივე აუცილებელთან და ცხადთან, როგორიც ენერგიის შენახვის კანონია: ყოველი ადამიანური გაერთიანების ქმედითობის პირობა ორი საწყისის კომბინაციაა — ხელოვნურად უნდა დამყარდეს რეპრესიული რეჟიმი (დისციპლინა) და შეიქმნას ამ რეჟიმის შედეგად დაგროვილი მუხტის გათავისუფლების არე. თუ ეს ორი ფაქტორი ერთდროულად და განუწყვეტლად არ მოქმედებს, ყოველგვარი გაერთიანება ჩანასახშივე განწირულია. რას იზამენ ჩვენი "პატრიოტები" თავიანთი რაობის დასამტკიცებლად? - ორი სავარაუდო მიმართულება უკვე დასახულია. პირველზე მათ რეალურად არავინ მიუშვებს - აქ იგულისხმება საქართველოს საზღვრების აღდგენა (მდინარე ფსოუ და როკის უღელტეხილი). ამ მიმართულებით სერიოზულმა ძიებმა უნდა იმუშაონ. მეორე უფრო სავარაუდოა: **ურწმუნო თომათა არმია**...

არა, მე არაფერს ვამტკიცებ. უბრალოდ, ვმსჯელობ. ჩემს მსჯელობასაც კიდევ ერთი რამ ამაგრებს: "ერთად მავალთა" საგულისხმო მაგალითს საინტერესოდ ეხამება აშშ-ს ახლად დამკვიდრებული ტრადიცია. გახსოვთ სოფო ბუკიას მასალიდან მოყვანილი მაგალითი? ისევ ძველი მოჩვენებები გვაწუხებს, ისევ ვერ აგვირჩევია ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის, მართლმადიდებლობის დამცველნი ისევ ვცდილობთ ივანუშკა დურაჩოკისა და ძია სემის შეუღლებას. საკითხი მხოლოდ იმაზეა, ახალ განაწილებაში რომელი მათგანი დაიკავებს ფორმისა და რომელი — შინაარსის ადგილს.

მანამდე კი ზოგადი აზრი გამოვთქვათ... ყოველგვარი კოლექტიური იდენტურობა ილუზიაა, რომელსაც ყველა დროსა და ადგილას ხელისუფლება კვებავს. ჩვენ კი საზოგადოებად უნდა ჩამოვყალიბდეთ. საზოგადოება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ის, რისი გამოხატვაც შესაძლებელია პირის ნაცვალსახელით "ჩვენ". საზოგადოებაში ყოველთვის უნდა ისმოდეს და ხმამაღლა უნდა ჟღერდეს მრავალი ურთიერთგამომრიცხავი "მე"-ს ხმა. იქ კი, სადაც ბელადები თავიანთი ინტელექტუალური დონითა და აზროვნების წესით არანაირად არ გამოირჩევიან მათგან, ვისაც უნდა წარუძღვნენ, კარგს არაფერს უნდა ველოდეთ. ირაკლი ოქრუაშვილი ფორუმზე შეკრებილ "პატრიოტთა" წინაშე აღიარებს თავის სინანულს, რომ 16-20 წლის ბიჭი არაა: თუ ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს გავითვალისწინებთ, ეს სინანული სრულიად უსაფუძვლოა.

# შპს "საქართველოს ფოსტა" ატარებს კომერციულ კონკურსს

## შპს "საქართველოს ფოსტის" ბალანსზე რიცხული ფართების ქირავნობის წესით გაცემის მიზნით

ქირავნობით გაიცემა შემდეგი ფართები:

1. ქ. თბილისი, წყნეთში რუსთაველის ქ.№ 3-ში მდებარე 15 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი- საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
2. ქ. თბილისი, ვაგზლის მ.№ 2-ში მდებარე 150 კვ.მ არასაცხოვრებო ფართი-საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
3. ქ.თბილისი, ავიოფოსტის უბანში მდებარე 30 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
4. ქ.თბილისი, ვაგზლის მ.№2-ში მდებარე 210 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფის ტიპის) საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
5. ქ. თბილისი, ვაგზლის მ.№ 2- ში მდებარე 10 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქორა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
6. ქ. თბილისი, ვაგზლის მ №2-ში მდებარე 200 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფის ტიპის) საწყისი ყოველტვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
7. ქ. თბილისი, ვაგზლის მ №2-ში მდებარე 20 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ნახევრად სარდაფის ტიპის) საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
8. ქ. თბილისი, ვაგზლის მ№2-ში მდებარე 180 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ნახევრად სარდაფის ტიპის) საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
9. ქ.თბილისი, ავიოფისტის ტერიტორიაზე მდებარე 10 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
10. ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანსი მდებარე 08 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.
11. ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის №44-ში მდებარე 06 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, სების მიერ დადგენილი კურსით გადახდის დღისათვის.

დამატებითი პირობები:

1. ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია სამი თვის ვადაში გაარემონტოს მის მიერ ქირავნობის წესით დროებით სარგებლობაში აღებული ფართი გამქირავებელთან შეთანხმებული ხარჯთარრიცხვის შესაბამისად, ხოლო რემონტზე გაწეული ხარჯები გამქირავებლის მიერ არ ანაზღაურდება.
2. ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში წინასწარ იხდის სამი თვის ქირავნობის გადასახადს.

კონკურსი ჩატარდება 2005 წლის 21 ოქტომბერს 12:00 საათზე, შპს "საქართველოს ფოსტის" სათაო ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, ვაგზლის მ.№2.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 20 ლარს, რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში.

კონკურსში მონაწილეთა განცხადების მიღება დაიწყება მ/წლის 20 სექტემბერს 10 საათიდან დასრულდება 20 ოქტომბერს 15 საათზე. კონკურსში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განაცხადი;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიარულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს, ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ასევე ინფორმაციას იმის ტაობაზე, რომ

ა) მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სნაციის საქმის წარმოება, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია;

ბ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არიან მსჯავრდებულნი, ან კონკურსის დაწესების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4. ფიზილური პირები დამატებით წარმოადგენენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტის:

ა) მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არიან მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5. პრეტენდენტთა წინადადებების შეფასებისას პრიორიტეტულობა მიენიჭება იმ პირს, რომელიც კონკურსის ჩატარების დღეს გააკეთებს განაცხადს საწყის ღირებულებასა და სხვა კონკურსის მონაწილე პირებზე მეტი საფასურის გადახდის თაობაზე.
6. ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში.

**დაინტერესებულ პირებს დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შპს "საქართველოს ფოსტას" საკონკურსო კომისიას მისამართზე: ვაგზლის მ. 2.**

*შპს "საქართველოს ფოსტა"*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. N30-ში მდებარე "საოჯახო მედიცინის კლინიკის და სასწავლო ცენტრი"-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაახლ. 940 მ2), ხელშეკრულება N2.2.1/NCB/CW/014.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. N30-ში მდებარე "საოჯახო მედიცინის კლინიკის და სასწავლო ცენტრი"-ს სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ***2005 წლის 19 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე*** (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *100 (ასი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11

ბანკის კოდი: 220101757

ანგარიშის ნომერი: 23408000189

ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია ***9 000*** (ცხრა ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ***2005 წლის 17 ოქტომბრის 14 საათამდე*** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***14:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ქ. ქუთაისში, თამარ მეფის ქ. N5/7-ში მდებარე "საოჯახო მედიცინის კლინიკის და სასწავლო ცენტრი"-ს სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაახლ.1380 მ2), ხელშეკრულება N2.2.1/NCB/CW/013.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას ქ. ქუთაისში, თამარ მეფის ქ. N5/7-ში მდებარე "საოჯახო მედიცინის კლინიკის და სასწავლო ცენტრი"-ს სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ***2005 წლის 19 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე*** (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *100 (ასი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11

ბანკის კოდი: 220101757

ანგარიშის ნომერი: 23408000189

ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია ***18 000*** (თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ***2005 წლის 17 ოქტომბრის 12 საათამდე*** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***12:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი განმეორებით აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში 23-28 ოქტომბერს საერთაშორისო კონფერეციის ჩატარების მიზნით მოწვეული სტუმრებისა და კონფერენციაში მონაწილე პირთათვის სასტუმრო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. სატენდერო მომსახურება დაყოფილია შემდეგ ლოტებად:

1. I ლოტი - სტუმრების განთავსება 60 სასტუმრო ოთახში საუზმის გათვალისწინებით.

II ლოტი - სტუმრების განთავსება 40 სასტუმრო ოთახში საუზმის გათვალისწინებით.

III ლოტი - საკონფერენციო დარბაზით მოიმსახურებას 120 მონაწილეზე; (კონფერენციის მსვლელობის დროს სადილითა და ორჯერადი კოფე-ბრეიკით უზრუნველყოფით)

IV ლოტი - კონფერენციის დახურვის დღეს ოფიციალური სადილის გამართვა 120 კაცზე.

ტენდერის შედეგად ლოტების მიხედვით შესაძლებელია ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. ერთი სატენდერო წინადადება შეიძლება წარმოდგენილი იქნას ერთი ან რამოდენიმე ლოტის სახით.

2. მიწოდების სავალდებულო ადგილი და ვადაა - ქ.თბილისი, 2005 წლის 23 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრამდე. მომსახურების დონე უნდა პასუხობდეს არანაკლებ 4 ვარსკვლავიანი სასტუმროს სტანდარტებს;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 1 ოქტომბრის 12 საათიდან 3 ოქტომბრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, თამარაშვილის 15ა მე-3 სართული

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ მისი ხელმძღვანელი (ან ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვლიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველს შესწევს უნარი განახორციელოს აღნიშნული სასტუმრო მომსახურების სრული პაკეტი.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლება 2005 წლის 4 ოქტომბრის 10 სთ-დან 6 ოქტომბრის 12 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილი, 15ა მე-3 სართული.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დემნა ხელაია, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15/ა ტელ: (8-22) 39-21-32; 8-99-55-61-52.

# ლაშა და განათლება

FM ცნობი 98.0

**ლაშა ბუღაძე:** დღეს ვისაუბრებთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ. ეს განათლების სისტემაში ერთ-ერთი პირველი და წარმატებული რეფორმა იყო, რომელსაც ამ ხელისუფლების ერთადერთ გამარჯვებადაც მიიჩნევენ. დღევანდელი სტუმრები არიან იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, ვაუჩერის მფლობელი ნინო კურცხალია და განათლების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია.

ნინო, ვინაიდან წლევანდელი გამოცდები ახალი ფორმატით ჩატარდა, გარკვეული შიშიც ახლდა როგორც აბიტურიენტების, ისე მშობლების მხრიდანაც. შენ როგორ გადალახე ეს პერიოდი? როგორ შეეგუე ამ სიახლეს?

**ნინო კურცხალია:** ცხადია, მეშინოდა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიყავი მომზადებული. ქართულის, უცხო ენისა და მათემატიკის გამოცდები შედარებით არ მაღელვებდა, სიახლეს უფრო ზოგადი უნარ-ჩვევების გამოცდა წარმოადგენდა. თუმცა სკოლაში გარკვეული ნაწილი მაინც გაგვაცნეს და გამოცდებზე შედარებით გაგვიადვილდა. არც ქართულის გამოცდა იყო ადვილი, თუმცა თუ ნაწარმოებს კარგად იცნობდი, არც ამ საგნის ჩაბარება გაგიძნელდებოდა.

**ლაშა ბუღაძე:** იყო თუ არა სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი იმისთვის, რომ გამოცდებისთვის თავი გაგერთვა?

**ნინო კურცხალია:** გამოცდებისას იმდენად უშუალო ვითარება იყო, რომ თავს ძალიან მშვიდად ვგრძნობდით. ამიტომ გონების მოკრებაც ადვილი იყო. თუ სკოლის პროგრამას კარგად იცნობდი, პასუხებს ადვილად გასცემდი. კომფორტი იყო გამოცდების ორგანიზების თვალსაზრისითაც.

**ლაშა ბუღაძე:** ქალბატონო ბელა, როგორც ცნობილია, სიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შეცდომა გაიპარა.

**ბელა წიფურია:** ეს შეცდომა იმდენად მინიმალური იყო, რომ საერთო სურათი არ შეცვალა. გარდა ამისა, ის სია წინასწარი მონაცემებით იყო შედგენილი და არ ახლდა მინისტრის ხელმოწერა.

**ლაშა ბუღაძე:** შეიქმნა მშობელთა ორგანიზაცია, რომლის წევრებიც აპირებენ, უფრო დაწვრილებით გადასინჯონ გამოცდების შედეგები და სარჩელიც შეიტანონ.

**ბელა წიფურია:** ეს მათი უფლებაა და სასამართლო სიმართლეს დაადგენს. მთავარია, რომ ამ გამოცდებმა თითქოს წაშალა ზღვარი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის, რადგან გამოცდები ყველასთვის თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა. ამის დასტურია ისიც, რომ უამრავი რაიონელი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი და ისინი ვერ "დაჩაგრეს" თბილისელებმა. არადა, მანამდე მათ გამოცდების წარმატებით ჩაბარების მინიმალური შანსი ჰქონდათ.

ზოგადად, რეფორმა იმისთვისაა საჭირო, რომ საზოგადოებაში არსებული კლიშეები დაინგრეს, ამისთვის კი პროცესისი ობიექტურობაა აუცილებელი. სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ არიან ადამიანები, რომლებსაც ეჭვი ეპარებათ ამ ობიექტურობაში, ამიტომ ვთხოვ მათ, კარგად გამოიკვლიონ ის ცალკეული შემთხვევები, რათა სკეპტიკური დამოკიდებულება გაუქრეთ.

რაც შეეხება აბიტურიენტების დამოკიდებულებას მომავალი პროფესიის არჩევისას, საბჭოთა პერიოდში ამ არჩევანს მშობლების მითითებით უფრო ადრეულ ასაკში აკეთებდნენ. პირველ კურსზე ირჩევდნენ ვიწრო სპეციალობას. საბოლოოდ, კი აღმოჩნდებოდა, რომ ისწავლა ის, რაც საერთოდ არ აინტერესებდა ან არ შეესაბამება მის პოტენციალს. ეროვნული გამოცდების მიზანი ისიც იყო, რომ აბიტურიენტს მეტი არჩევანის საშუალება ჰქონოდა და ხუთი სასურველიდან, საუკეთესო სპეციალობა აერჩია. მომავალი წლიდან კი ვიწრო სპეციალობის არჩევა სტუდენტებს მეორე ან მესამე კურსიდან შეეძლებათ. ამ შემთხვევაში სტუდენტი უფრო ცნობიერ არჩევანს აკეთებს.

**მსმენელი:** მომავალ წელს რა სიახლე იქნება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?

**ბელა წიფურია:** წელს აბიტურიენტებმა ოთხი საგნის ტესტი ჩააბარეს: ქართული, უცხო ენა, მათემატიკა და ზოგადი უნარ-ჩვევები. მათემატიკის გარდა დანარჩენი სამი სავალდებულო იყო. მეოთხე საგანს ირჩევდა ფაკულტეტი და უნივერსიტეტი. მომავალ წელს ფაკულტეტებს შეეძლებათ მიუთითონ ტესტი საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.



*განათლების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია.*

**ლაშა ბუღაძე:** ამ გამოცდების სერიოზული მიღწევაა ისიც, რომ ვერ ხერხდებოდა ჩაწყობა.

**ნინო კურცხალია:** ჩემი ნაცნობებიდან ბევრი ვერ მოხვდა, თუმცა ჩაწყობის მცდელობა არავის ჰქონია. ამის შესაძლებლობა არც არსებობდა.

**ბელა წიფურია:** ნამუშევრები იმდენად ანონიმურად სწორდებოდა, რომ ჩაწყობა წარმოუდგენელი იყო. ეს ტექნიკურადაც შეუძლებელი იყო.

**მსმენელი:** უკმაყოფილო ვარ, რადგან ბევრი უცოდინარი გახდა სტუდენტი.

**ბელა წიფურია:** საქმე ისაა, რომ ამ გამოცდებმა გამოავლინა როგორც დაბალი მომზადების, ისე საშუალოზე დაბალი მომზადების მქონე აბიტურიენტები. საუკეთესოები პირველ 4 ათასში მოხვდნენ, დანარჩენები კი იმ ფაკულტეტებზე ჩაირიცხნენ, სადაც კონკურსი მათი ცოდნის შესაბამისად ჩატარდა. გარდა ამისა, ეს ტესტები არ იყო გათვლილი მხოლოდ გენიოსი ბავშვებისთვის და საკუთარი ცოდნის გამოვლენის საშუალება ნებისმიერს ეძლეოდა.

**მსმენელი:** როგორ შეიძლება აღმოიფხვრას კორუფცია კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულ შემოქმედებით ტურების შემთხვევაში!? ჩემთვის ცნობილია, რომ ამ ტურებში იმის მიხედვით იწერებოდა შეფასება, თუ რომელ ლექტორთან ემზადებოდა აბიტურიენტი.

**ბელა წიფურია:** დავაზუსტებ, რომ არის შემთხვევები, როდესაც შემოქმედებით ტურებში გამარჯვებულმა აბიტურიენტებმა ვერ დაძლიეს სხვა ტესტები. ეს ადასტურებს, რომ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდაც უნდა ფლობდეს თანატოლებისთვის აუცილებელ ცოდნას. ამასთან, საქმე ისაა, რომ შემოქმედებითი ტურების კომისიის წევრი ვერ იქნებოდა ბოლომდე ობიექტური, რადგან საქმე შემოქმედებასთან გვაქვს და ცოდნას საკუთარი გემოვნებიდან გამომდინარე აფასებს. თუმცა არც ასეთი სუბიექტურობაა დასაშვები. თუ მსგავსი კორუფციის შემთხვევები მაინც იყო, დარწმუნებული ვარ, ამას დრო გამოასწორებს.

**მსმენელი:** დაეხმარება თუ არა ეს რეფორმა ნიჭიერ სტუდენტს მომავალში პროფესიულ წარმატებებს მიაღწიოს?

**ბელა წიფურია:** ამ რეფორმების შედეგად მეტი გასაქანი სწორედ მათ მიეცემათ, ვინც ამას რეალურად იმსახურებს. ეროვნული გამოცდები ამის დამადასტურებელია, რადგან მათ საკუთარი შესაძლებლობებით მოახერხეს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება. ყველა ფაკულტეტზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს იმისთვის, რომ განისაზღვროს სტუდენტის მიერ დასაძლევი ცოდნის ოპტიმალური მოცულობა, ძირითადი კურსები, არჩევითი კურსები და სხვა. ეს სტუდენტს აძლევს იმის საშუალებას, რომ სტუდენტობისას გამოავლინოს საკუთარი ინტერესები, ხოლო პროფესორ-მასწავლებლებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ლექციებში შემოქმედებითობა და მრავალფეროვნება შეიტანოს და სტუდენტი უფრო დააინტერესოს.

**ლაშა ბუღაძე:** ატესტაცია პროფესორ-მასწავლებლებსაც ხომ არ შეეხება?

**ბელა წიფურია:** მომავალში ესეც დაგეგმილია. მათ გარკვეული პერიოდის შუალედში უნდა დაადასტურონ, რომ მართლაც იმსახურებენ იმის უფლებას, რომ სხვას გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება.

**ლაშა ბუღაძე:** რეფორმას საჭიროებს საშუალო სკოლებიც. რა ნაბიჯები იდგმება ამ მხრივ?

**ბელა წიფურია:** ყველა სკოლაში უნდა შედგეს სამეურვეო საბჭოები, რომელშიც გაერთიანდებიან მშობლები და პედაგოგები. საბჭო გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიკრიბება და განსაზღვრავს სკოლის პრიორიტეტებს - საფინანსო, საკადრო თუ სასწავლო პროცესის საკითხებში. საბჭოს დირექტორის არჩევაც დაევალება იმ კანდიდატურებს შორის, რომლებსაც განათლების სამინისტრო წარადგენს. დირექტორი კი ამ საბჭოს რეკომენდაციებს უნდა ითვალისწინებდეს. დღევანდელი დირექტორები კი ზოგადი განათლების შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე მოვალეობის შემსრულებლებად მიიჩნევიან. სამეურვეო საბჭოს წევრებიც შესაბამისი არჩევნებით დაკომპლექტდება. სახვათა შორის, მოსწავლეებსაც აქვთ უფლება დაესწრონ საბჭოს სხდომებს და გარკვეული როლიც შეასრულონ სკოლის მართვაში.

**ლაშა ბუღაძე:** რამდენად რეალურია, რომ მომავალ წელს ვაუჩერის თანხის რაოდენობა გაიზრდება?

**ბელა წიფურია:** ეს სავსებით შესაძლებელია.

**ლაშა ბუღაძე:** არსებობს სხვადასხვა სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელთა პროგრამა ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ შესაძლებელია, რომ გამოცდაზე ისეთი საკითხი იყოს, რომელიც გაიარეს ერთი სკოლის მოსწავლეებმა და არ უსწავლიათ სხვა სკოლელებს. რამდენად შესაძლებელია ეს კაზუსი ეროვნულ გამოცდებზე?

**ბელა წიფურია:** არსებობს ერთიანი ეროვნული სავალდებულო გეგმა და სასკოლო გეგმაც. ასევე განსხვავდება სასკოლო სახელმძღვანელოებიც. ამიტომ ერთიანი გამოცდების ფარგლებში გამოქვეყნდება პროგრამა, რომელიც უნდა იცოდეს აბიტურიენტმა და იყოს მზად, რომ ეს საკითხები შეხვდება. კარგია მრავალფეროვნება, მაგრამ გარკვეული სტანდარტები უნდა არსებობდეს.

**ლაშა ბუღაძე:** დიდი მადლობა საუბრისთვის.


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. ინდ. მეწარმე "მერაბ ქადაგიშვილი"-ს მიერ, II კატეგორიის საქმიანობაზე "ქ. თბილისში ფეიქრების ქუჩის მიმდებარედ მდ. მტკვრის კალაპოტში არსებულ კუნძულზე ინერტული მასალების მოპოვებისა და მისი გადამუშავების პროექტი"
2. შპს "ჯორჯიან მეტალ გრუპ"-ის მიერ, I კატეგორიის საქმიანობაზე "სორტული ნაგლინის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი"
3. შპს "გორა"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე "გორაძირის ვულკანური წიდის და ბაზალტების საბადოს (საჩხერის რაიონი) დამუშავების პროექტი"
4. დაბა ბაკურიანის საკრებულოს თავმჯდომარის ვალიკი აბრამიშვილის მიერ, I კატეგორიის საქმიანობაზე "დაბა ბაკურიანში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების პოლიგონის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი"
5. შპს "სამთო-გეოლოგიური პროექტი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე "ნადიბაანთ-ვეძას" მინერალური წყლისა და თანმდევი ნახშირმჟავა გაზის საბადოს შესწავლა-დამუშავების პროექტი"
6. შპს "იბერკომპანი ჯგუფი"-ს მიერ III კატეგორიის საქმინობაზე "ავტოგასამართი სადგურის გარემოზე ზემოქმედების შესწავლის დოკუმენტი"

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 22 სექტემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 22 სექტემბერს 1200 სთ-ზე საქართველოს გაემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.



HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და ურბანისტიკის სფეროებში

### ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის

**უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):**
ყოფის ისტორია
■ სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში
ეთნიკურობა და საზოგადოება
■ ქალაქის სოციალური ანთროპოლოგია
პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
■ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ)

**სოციოლოგია:**
უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
■ ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
■ "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში
■ სოციალურ-ტერიტორიული ერთობების განვითარება

**მდგრადი ქალაქგანვითარება (ურბანისტიკა):**
საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
■ არქიტექტურა და ხელისუფლება
ქალაქის ტოპოგრაფიის დინამიკა
■ ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა
ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)
■ ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1970-1983 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2006 - 31.12.2006. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი ფონდის მიერ ორგანიზებული პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**
■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
■ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **25 ოქტომბერი, 18:00** სთ.

**საჭირო საბუთები**
1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**



**შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი' აცხადებს კომერციულ კონკურსს საზოგადოების კაპიტალში რიცხული ქ.თბილისში რუსთაველის გამზ.N 42-ში მდებარე შენობის:**
1) შენობის 3 სართულზე განლაგებულ ფართობს (საერთო ფართი 35 მ²),
2) შენობის ტერიტორიაზე განლაგებულ ავტოსადგომს (საერთო ფართი 45 კვ.მ)

**იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.**
**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:**
საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს .
**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:**
მეიჯარე: **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი'**
მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42**

ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი საკონკურსო ფასი შეადგენს:
1) კვ.მ. 4 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით;
2) 1,5 აშშ დოლარი ექვივალენტს

წინასწარ შესატანი "ბე" შეადგენს, პოტენციური მოიჯარის მიერ შერჩეული ოთახის სრული თვიური საიჯარო ღირებულების (საწყისი ფასი გამრავლებული კვადრატულ მეტრზე) 10 პროცენტს.

**ოთახების იჯარით გაცემის საკონკურსო პირობების :**
- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ნებისმიერი საქმიანობის წარსამართავად, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ხელს არ შეუშლის საქინფორმის საქმიანობას.
კონკურსში მონაწილეობის მსურველმა თავის თავზე უნდა აიღოს იჯარით აღებული ოთახის ელექტროენერგიის ხარჯის აღმნუსხავი მრიცხველის დაყენება და კომუნალური გადასახადების გადახდა.
- საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციისა და ჯარიმებია გადახდის გარეშე.
კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 12 საათიდან - 15 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.
კონკურსი გაიმართება **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმის"** შენობაში 2005 წ, 20ოქტომბერი. 17 სთ.
მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42, IV სართული**
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია :
1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
3. შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმის" ანგარიშზე. **(ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი** კოდი: **220101502** საანგარიშსწორებო ანგარიში **N 021467320**, შპს საქინფორმი) "ბეს" შეტანის ქვითარს;
4. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;
კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება, მყარი ფინანსური გარანტიები და კონკურენტზე უკეთესი კომერციული წინადადება. თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი კომერციული წინადადების პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომლის საქმიანობა დაკავშირებული ან დაახლოებული იქნება მედიასთან.
ცნობებისათვის დარეკეთ 899 988 131:
*შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი"*



## მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში 2005-2006 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე :
**ჟურნალისტიკა, რეჟისურა, საზოგადოებრივი კომუნიკაციები, პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია, ენა და ლიტერატურა (ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული), სამართალი,**
**ეკოლოგია, ტურიზმი, ეკონომიკური ურთიერთობები**
9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი
**ინფორმაციისთვის: 36 64 96; 99 56 65; 899 22 62 62**



## განცხადება

**2005 წლის 15 აგვისტოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ჩატარდა დახურული ტენდერი საკანცელარიო საქონლის და კომპიუტერული ტექნიკის მარაგ მასალების შესაძენად.**
**ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და დაიდო სესაბამისი ხელშეკრულებები ქვემოთ ჩამოთვლილ ფირმებთან.**

**შპს "ფორმატი"**
**შპს "კომპი სერვისი"**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისია.**



**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის**

## განცხადება

**2005 წლის 15 აგვისტოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დაცვის დეპარტამენტში ჩატარდა დახურული ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად.**
**ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები ქვემოთ ჩამოთვლილ ფირმებთან.**

**სამშენებლო კომპანია "თბილისი"**
**შპს "ადა"**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისია.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის**



გაზეთ "24 საათის" 18 აგვისტოს ნომერში გამოცხადებული ტენდერი გარდაბნის რაიონის სოფ. კრწანისში სასროლეთის მშენებლობის შესახებ დროებით შეჩერებულია მსურველთა არ არსებობის გამო.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331839, 331939, ფაქსი: 331934, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში*" (პროექტი: N-GEO202-G01-H-00), "*მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში*" (პროექტი: N-GEO304-G02-M-00) და "*DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში*" (პროექტი: N-GEO-405-G03-T) პროგრამის ფარგლებში სამედიცინო სახარჯი მასალების, რეაგენტების, ტესტ-სისტემების (სახარჯი მასალა, რეაგენტები/ტესტები ლაბორატორიული კვლევებისათვის) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია:

| ლოტი N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ცალი /ტესტი) |
|---|---|---|
| ლოტი I | ინსულინის ერთჯერადი შპრიცი, ნემსით, 1 ml | 182000 |
| | ერთჯერადი შპრიცი, ნემსით, 2 ml | 177000 |
| | ერთჯერადი შპრიცი, ნემსით, 5 ml | 43000 |
| | ერთჯერადი შპრიცი, ნემსით, 10 ml | 10000 |
| | მოწყობილობა [illegible] გადასხმისათვის - ე.წ. "სისტემა" | 22000 |
| | სკარიფიკატორი, ერთჯერადი | 200000 |
| ლოტი II | კონდომი | 45000 |
| | ხელთათმანი, სამედიცინო, ერთჯერადი (წყვილი) | 4900 |
| ლოტი III | ქიმიური ჭიქა | 10 |
| | ქილა, ერთჯერადი | 17000 |
| | ქურჭელი, ლაბორატორიული, შარდისათვის | 1200 |
| | სინჯარა, ლაბორატორიული | 500 |
| | სასაგნე მინა, მიკროსკოპისათვის | 200000 |
| | ჰიგროსკოპული ბამბა, არასტერილური (პაკეტი) | 400 |
| | ფილტრი, ლაბორატორიული, ქაღალდის (კომპლექტი) | 4 |
| | ტამპონი, ერთჯერადი, დეზინფექციისათვის | 434000 |
| | გრამის საღებავი (ლიტრი) | 50 |
| | ქიმრეაქტივების ნაკრები თხელფენოვანი ქრომატოგრაფიისათვის (ანალიზზე) | 100 |
| ლოტი IV | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ოპიატები | 2000 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, მარიხუანა | 450 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ბენზოდიაზეპინი | 210 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ამფეტამინი | 60 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, ბარბიტურატები | 60 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, მეტამფეტამინი | 50 |
| | ექსპრეს ტესტი ნარკოტიკის იდენტიფიცირებისათვის, შარდში, კოკაინი | 60 |
| | ექსპრეს-ტესტი (anti-HIV1+2), ერთ ანალიზზე, აივ ინფექციაზე სკრინინგული კვლევებისათვის; | 3950 |
| | ექსპრეს-ტესტი (HBsAg) "ჰეპატიტ B" ზედაპირული ანტიგენის ტესტირებისათვის | 3050 |
| | ექსპრეს-ტესტი (Anti-HCV) "ანტი-ჰეპატიტ C" ტესტირებისათვის | 3050 |
| | ექსპრეს ტესტი სისხლში ათაშანგის ანტისხეულების განსაზღვრისათვის სწრაფი/მარტივი მეთოდით (RPR) | 8000 |
| ლოტი V | ტესტ-სისტემა აივ-ინფექციის (anti-HIV 1/2) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 6000 |
| | ტესტ-სისტემა C ჰეპატიტის (anti-HCV) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 4000 |
| | ტესტ-სისტემა B ჰეპატიტის (HBsAG) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 4000 |
| ლოტი VI | მაღალი მგრძნობელობის ტესტ-სისტემა აივ-ინფექციის (anti-HIV 1/2) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 2000 |
| | მაღალი მგრძნობელობის ტესტ-სისტემა C ჰეპატიტის (anti-HCV) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 2000 |
| | მაღალი მგრძნობელობის ტესტ-სისტემა B ჰეპატიტის (HBsAG) ტესტირებისათვის, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი | 2000 |
| ლოტი VII | კონფირმაციული ტესტი აივ-ინფექციის (HIV) ტესტირებისათვის ("ვესტერნ-ბლოტისათვის") | 200 |

2. მიწოდების ვადა: არაუგვიანეს 2005 წლის 30 ნოემბერი.

მიწოდების პირობა: "DDP - მიწოდების ადგილი", მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებიული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 ოქტომბრის 10:00 საათიდან 4 ოქტომბრის 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

დ) ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, განცხადებაში მითითებული საქონლის მიწოდებისათვის აუცილებელი ლიცენზიის /ნებართვის /სერთიფიკატის /რეგისტრაციის მოწმობასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში);

ე) ვალდებულებას, რომ განცხადებაში მითითებული საქონლის საქართველოში რეგისტრაციის არ არსებობის შემთხვევაში განახორციელებს მის რეგისტრაციას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში).

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას მე-4 მუხლში აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 4 ოქტომბრის 17:00 საათზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 7 ოქტომბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

9. პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს ერთი ძირითადი და ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო მდივანი, ეკატერინე ქილიფთარი, დავით აბდუშელიშვილი მისამართზე ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, ტელეფონი: 331839, 331939, ფაქსი: 331934.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## ერთეტაპიანი ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331839, 331939, ფაქსი: 331934, E-mail: globalfund@caucasus.net), აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში*" (პროექტი N-GEO-304-G02-M-00) პროგრამის ფარგლებში მალარიის გადამტანებზე ხელმისაწვდომი და მყარი კონტროლის განხორციელების მიზნით ინსექტიციდების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი);

2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: სუფლუტრინის ჯგუფის სინთეზირებული პირეტროიდები, მალარიის გადამტანი კოღოს საწინააღმდეგოდ, საცხოვრებელი შენობების შიდა დამუშავებისათვის, დაფასოებული 50 გრამიანი ფხვნილის სახით, აქტიური ნივთიერების 10%-იანი შემცველობით. შესყიდვის ობიექტი (ნივთიერება), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართული უნდა იყოს ქვეყანაში დეზინსექციის პრაქტიკაში გამოყენებისათვის;

3. შესყიდვის ობიექტის მოცულობა: 1300 კგ.;

4. მიწოდების ვადა: არაუგვიანეს 2005 წლის 10 ნოემბერი;

5. მიწოდების ფორმა: "DDP - თბილისი"; ერთ ეტაპად; მიწოდების ადგილი: "*ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი*", მისამართი: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. N9;

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ: 2005 წლის 3 ოქტომბრის 10:00 საათიდან, 4 ოქტომბრის 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი".

7. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი იურიდიული/ფიზიკური პირის მიერ (და სუბკონტრაქტორის, მისი არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

7.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

7.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail;

ბ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

გ) სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულება განზრახვათა შესახებ;

8. იურიდიული და ფიზიკური პირი (და სუბკონტრაქტორი მისი არსებობის შემთხვევაში) ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით გაფორმდება ტენდერში გამარჯვებულ (მიმწოდებელი) პირსა და სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრს" (შემსყიდველი) შორის.

10. ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

11. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება: 2005 წლის 4 ოქტომბრის 18:00 საათზე.

12. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 7 ოქტომბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

14. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მერაბ იოსავა, დავით აბდუშელიშვილი (მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ.: 331839, 331939; ფაქსი: 331934).

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331839, 331939, ფაქსი: 331934, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში*" (პროექტი: N-GEO202-G01-H-00) და "*DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში*" (პროექტი: N-GEO-405-G03-T) პროგრამის ფარგლებში ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებისა და ინვენტარის (სამედიცინო ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია:

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | სფიგმომანომეტრი, ფონენდოსკოპით | 2 |
| 2 | მექანიკური პიპეტი, ლაბორატორიული | 6 |
| 3 | ალკოჰოლის ტესტერი (ამონასუნთქ ჰაერში) | 3 |
| 4 | ანალიზური სასწორი | 1 |
| 5 | ცენტრიფუგა, გამყინავი | 6 |
| 6 | ცენტრიფუგა, ლაბორატორიული | 3 |
| 7 | სანჯღრევი, ლაბორატორიული | 3 |
| 8 | სანჯღრევი, ლაბორატორიული, წყლის აბაზანით | 1 |
| 9 | მშრალი გამაცხელებელი, სინჯარებისათვის | 1 |
| 10 | ავტოკლავი | 2 |
| 11 | საშრობი კარადა, ლაბორატორიული | 2 |
| 12 | ინკუბატორი, ლაბორატორიული | 2 |
| 13 | წყლის გამოსახდელი აპარატი | 1 |
| 14 | შემადედებელი კაბინა, ლაბორატორიული | 1 |
| 15 | ბიოუსაფრთხოების სამუშაო კაბინა | 1 |
| 16 | ბაქტერიოციდული ნათურა | 200 |
| 17 | მაცივარი, სისხლის ბანკისათვის, სისხლის და სისხლის პროდუქტებისათვის (ერითროციტული მასის შესანახად) | 4 |
| 18 | მაცივარი, საყინულე, სისხლის ბანკისათვის (პლაზმის შესანახად) | 1 |
| 19 | მაცივარი | 6 |
| 20 | ლაბორატორიის მაგიდა | 4 |
| 21 | ლაბორატორიის სკამი | 4 |
| 22 | სამედიცინო ტახტი | 2 |

2. მიწოდების ვადა: არაუგვიანეს 2005 წლის 25 ნოემბერი.

მიწოდების პირობა: "DDP - მიწოდების ადგილი", მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად: ქქ-ბი თბილისი, ქუთაისი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებიული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 ოქტომბრის 10:00 საათიდან 4 ოქტომბრის 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

დ) ინფორმაცია სერვისული/საგარანტიო მომსახურების პირობების შესახებ (გამოცდილებისა და კადრების კვალიფიკაციის მითითებით);

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას მე-4 მუხლში აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 4 ოქტომბრის 17:30 საათზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 7 ოქტომბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

9. პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს ერთი ძირითადი და ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო მდივანი, ეკატერინე ქილიფთარი, დავით აბდუშელიშვილი მისამართზე ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, ტელეფონი: 331839, 331939, ფაქსი: 331934.

# დაბადების დღე - დიდი ლიახვის ხეობის ბავშვებთან ერთად

## სტილიზებული ფოლკლორის თეატრმა "ნაბადმა" გუშინ კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ბავშვებს უმასპინძლა

*გუშინ "ნაბადში" განსაკუთრებული დღე იყო. დაახლოებით იმ დროს, როცა "პატრულის" დაბადების დღის აღსანიშნავად თავისუფლების მოედანზე მსოფლიოში ყველაზე დიდი ტორტი შემოაგორეს, ზეიმი "ნაბადშიც" დაიწყო. "პატრულის" "კბილა" თეატრმა საკუთარი დაბადების დღე კონფლიქტის ზონაში - დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ბავშვებს მიუძღვნა და მათ, ქართული ფოლკლორის - ცეკვისა და სიმღერის ენაზე, საქართველოს ისტორია მოუთხრო.*



სპექტაკლის დაწყების წინ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "სალიახვოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კავშირმა", კომპანია "თელასის" პროფკავშირული ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით, კონფლიქტური ზონის - დიდი ლიახვის ხეობის წარჩინებული ბავშვები შეკრიბა და ზოგისთვის - მონატრებულ, ზოგისთვის კი - საერთოდ უნახავ დედაქალაქში, "ნაბადის" ყველაზე ქართული სპექტაკლის სანახავად ჩამოიყვანა. **"ეს მათი უმეტესობისთვის დედაქალაქში პირველი გასეირნებაა, ცოცხლად შესრულებულ სპექტაკლს კი ყოველი მათგანი პირველად დაესწრება,"** - გაგვანდო ბავშვების თანმხლებმა პედაგოგმა ქალბატონმა თამრიკომ.

იმის გამო, რომ დღეს საქართველოში ყველაზე გაჭირვებულ ხეობას ძალიან ბევრი წარჩინებული ბავშვი ჰყავს, რომლებსაც ვერც ავტობუსი დაიტევდა და ვერც თეატრის მცირე დარბაზი, ექსკურსია ორ 30-ბავშვიან ნაკადად მოეწყო და ორ დღეს გასტანა.

სპექტაკლის დაწყებამდე ხეობელ ბავშვებს "თელასის" პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი "ამერიკულ" "მაკდონალდსში" გაუმასპინძლდა, თეატრში მოსულებს კი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მეუღლე ნინო ცინცაბაძე და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი დახვდნენ. **"დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ბავშვებზე ზრუნავს,"** - ამბობდნენ დამხვდურები, - **ასეთი აქციები ხშირად უნდა მოეწყოს."**

"ნაბადის" მსახიობებმაც ძალიან მოინდომეს, პატარა თეატრის პატარა სცენაზე მართლაც რომ ცეცხლი დაანთეს და ბავშვებს დაუვიწყარი პირველი შთაბეჭდილება გაატანეს თან.

**"ამდენი ტაში და ასე უხვად დახარჯული ემოციები მაყურებელთაგან კარგა ხანია, არ მსმენია,** - ამბობდა "ნაბადის" სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ტურაბელიძე, **- ამ ბავშვების მომღიმარი სახეები თეატრისთვის თავის პირველ დაბადების დღეზე ყველაზე კარგი საჩუქარია."**

სხვათა შორის, როგორც "სალიახვოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კავშირის" თავმჯდომარემ თეა ბასიშვილმა გვითხრა, არასამთავრობო ორგანიზაცია, "თელასის" პროფკავშირებსა და "ნაბადთან" ერთად, მსგავსი აქციის მოწყობას კიდევ გეგმავს და სურვილი აქვს, მსგავსი ღონისძიება სპეციალურად ოსი ეროვნების ბავშვებისთვისაც ჩაატაროს. **"ეს მათთვის ენით აღუწერელი სიხარული იქნება, რომელსაც ახლა ისინი მოკლებულნი არიან,"** - დასძინა თეამ.

სწორედ ენით აღუწერელი სიხარული, რომელიც დღეისათვის საქართველოს ყველაზე გაჭირვებული რეგიონის ბავშვების თვალებში იდგა, ერთ ჭეშმარიტებას ამტკიცებდა: ასეთი აქციები მართლაც ძალიან ხშირად უნდა მოეწყოს.

*24 საათი*


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

პროექტი ილია ჭავჭავაძე

იწვევს ფირმებს ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) დაწყებითი და საშუალო განათლების რეფორმირების მიზნით ახორციელებს პროექტს "ილია ჭავჭავაძე" (შემდგომში - პროექტი). პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტიდან.

პროექტის განხორციელებასა და კოორდინირებაში სამინისტროს დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი (შემდგომში - საკოორდინაციო ცენტრი).

სამინისტრომ და საკოორდინაციო ცენტრმა დასახეს ახალი მიზნები პროექტის შემდგომი განხორციელებისთვის:

- ეროვნული შეფასებისა და სასწავლო გეგმის ცენტრის დაფუძნება, რათა დასრულდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება და დაიწყოს მისი დანერგვა.

მასწავლებელთა სერთიფიკაციისა და სტანდარტების ცენტრის დაფუძნება, რომელიც უკვე არსებულ ეროვნული გამოცდების ცენტრთან ერთად მოამზადებს მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებს.

- ეროვნული შეფასებისა და სასწავლო გეგმის ცენტრის, მასწავლებელთა სერთიფიკაციისა და სტანდარტების ცენტრისა და ეროვნული გამოცდების ცენტრების განთავსება ერთ შენობაში მათი ურთიერთ თანამშრომლობისა და მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

სამინისტროს გადაწყვეტილებით ზემოთ ჩამოთვლილი ცენტრების განსათავსებლად შერჩეულია შენობა ქ. თბილისში ჩხეიძის ქ. N8-ში, რომელსაც ჩაუტარდება შესაბამისი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამ ცენტრებისთვის საოფისე შენობად ადაპტირების მიზნით.

საკოორდინაციო ცენტრი იწვევს დაინტერესებულ ფირმებს, რათა წარმოადგინონ ინტერესის გამოხატვის წერილები და შესაბამისი ინფორმაცია შემდეგი სამუშაოსთვის:

**უშანგი ჩხეიძის ქ. N8 შენობის რეკონსტრუქცია**
**საოფისე შენობად ადაპტირების მიზნით**
**მიზნები**

წინამდებარე ტექნიკური დავალება დამუშავებულია საპროექტო ფირმისთვის, რომელიც შეირჩევა კონკურსის წესით და მოამზადებს არქიტექტურულ-საპროექტო დოკუმენტაციას ზემოთ დასახელებული ობიექტისათვის გამაგრება-გაძლიერებისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად. ტექნიკური დავალება ითვალისწინებს ქვემოთ მითითებული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო და, აუცილებლობის შემთხვევაში, გასამაგრებელ სამუშაოებს:

მისამართი: **ქ. თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. N8**
თანამშრომელთა რაოდენობა: **დაახლ. 150 (ას ორმოცდაათი)**
ფართი: **9 184 მ2 (ცხრა ათას ას ოთხმოცდაოთხი)**

**მომსახურების ფარგლები**

საპროექტო ფირმამ (შემდგომში - კონსულტანტი) მსოფლიო ბანკის სტანდარტული მოთხოვნების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს არქიტექტურულ-საინჟინრო პროექტირებას და საავტორო ზედამხედველობას შენობის გამაგრება-გაძლიერებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად. საჭირო არქიტექტურულ-საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს "საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს N42 ბრძანების (07.06.2003) შესაბამისად.

არქიტექტურულ-საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მიერ შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნაში ასახული მონაცემების გათვალისწინებით. Aაღნიშნული დასკვნა წინასწარ მომზადდება და გადაეცემა კონსულტანტს, რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება.

სამუშაოთა მთელი მოცულობა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

კონსულტანტმა არქიტექტურულ-საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოამზადოს სამინისტროსა და საკოორდინაციო ცენტრთან შეთანხმებით.

საპროექტო დავალება უნდა შედგებოდეს:

ა) არქიტექტურული და საინჟინრო საპროექტო მომსახურებისაგან, რომელიც საჭიროა სამშენებლო ტენდერის ჩასატარებლად ზემოთ აღნიშნული ობიექტის გამაგრებისა და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განსახორციელებლად, ტექნიკურ დავალებაში აღწერილი ხარისხისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) საავტორო ზედამხედველობის გასაწევად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო სამუშაოების წარმოება კონსულტანტის მიერ მომზადებული და საკოორდინაციო ცენტრის მიერ დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

დავალება სრულდება სამ ეტაპად:
I ეტაპი - ესკიზური პროექტი
II ეტაპი - "სტადია პროექტი"
III ეტაპი - "სტადია მუშა დოკუმენტაცია"

**ტექნიკური პირობები და მოთხოვნები**

კონსულტანტი საკოორდინაციო ცენტრთან ერთად მოიძიებს და ათანხმებს ყველა საჭირო წინასწარ მონაცემს, ტექნიკურ პირობასა და მოთხოვნას, რომლებსაც გასცემს სახელმწიფო ზედამხედველობისა და სხვა შესაბამისი ორგანოები.

**ფოტო მასალა**

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ფოტომასალა:

- ტერიტორია, სპეციალური საინჟინრო ნაგებობები, შენობის საერთო ხედი, სპეციფიური დეტალები - სახურავი, კარ-ფანჯარა, კიბე, სველი წერტილები, ავარიული კვანძები და სხვა დაზიანებები.

**დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა**

წინასაპროექტო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში უნდა მოიცავდეს საინჟინრო კვლევის შედეგებს, ყველა წინასწარ მონაცემსა და ტექნიკური პირობების ჩამონათვალს და კონსულტანტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ოთხ ეგზემპლარად.

განმარტებითი ბარათი და მუშა დოკუმენტაცია უნდა შესრულდეს ოთხ ეგზემპლარად. ამასთან, საკოორდინაციო ცენტრისთვის დანართები წარმოდგენილ უნდა იქნას აგრეთვე მაგნიტური დისკით (ელექტრონული ვერსია).

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს მასალების დეტალური დახასიათება, სამშენებლო სამუშაოების და აღჭურვილობის ჩამონათვალი სამუშაო დოკუმენტაციის თითოეული ნაწილის მიხედვით, არსებული ნორმების გათვალისწინებით. სამშენებლო მასალები უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ, ეკოლოგიურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს და უნდა იძლეოდეს შენობა-ნაგებობების ხანგრძლივი ექსპლუატაციის გარანტიას.

**ანგარიშვალდებულება**

კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება საკოორდინაციო ცენტრის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ასპექტში.

**დასკვნითი მონაცემები**

საკოორდინაციო ცენტრი უზრუნველყოფს კონსულტანტს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტაციით, რომელიც საჭირო იქნება დავალების შესასრულებლად. საკოორდინაციო ცენტრი ასევე უზრუნველყოფს კონსულტანტის შეუფერხებელ საქმიანობას და ობიექტზე ყველა საჭირო პირობების შექმნას.

პროექტირებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სნ და წ. II-7-81 და საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 2003 წლის 7 ივნისის ბრძანება N42, დანართი 1-ით.

პროექტი დასრულებულად ჩაითვლება კონსულტანტისა და საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმებისა და ყველა შენიშვნის გათვალისწინების (თუ ასეთი იქნება) შემდეგ.

სახელმწიფო საწარმოებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი (1) სამართლებრივად და ფინანსურად ავტონომიურები არიან და (2) საქმიანობენ "მეწარმეთა შესახებ" კანონის მიხედვით.

დაინტერესებულმა ფირმებმა ინტერესის გამოხატვის წერილები და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13
ელ-ფოსტა: GEP@mes.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

ინტერესის გამოხატვის წერილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის **საბოლოო ვადაა 2005 წლის 30 სექტემბერი.**

აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოდგენილი ინფორმაცია არ მიიღება.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

პროექტი ილია ჭავჭავაძე

**მოწვევა**
**სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის მასალების მოსაწოდებლად**

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის გამომცემლებს და სხვა მომწოდებლებს საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის ქართულ ენაზე დამხმარე საკითხავი მასალისა და საგანმანათლებლო თამაშების ნიმუშების მოწოდებისათვის მონაწილეობის მისაღებად. წარმოსადგენი მასალა დაკომპლექტდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

საბავშვო წიგნები
- მხატვრული ლიტერატურა
ლექსიკონები
- ენციკლოპედიები
ატლასები
- საგანმანათლებლო თამაშები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული კომისია წარმოდგენილ ნიმუშებს შეაფასებს მათი საგანმანათლებლო ღირებულების, ხარისხისა და კონკურენტუნარიანი ფასის მიხედვით. შერჩეული საუკეთესო მასალებიდან გაკეთდება კომპლექტი, რომელიც მიეწოდება საქართველოს სოფლად მდებარე 566 (ხუთას სამოცდაექვს) სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას იდენტურად. საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი ხელშეკრულებებს გააფორმებს მომწოდებლებთან ზემოთ აღნიშნული შერჩეული მასალების მოწოდებაზე.

ფინანსური განაცხადები და მასალების ნიმუშები უნდა გამოიგზავნოს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
**0102 თბილისი. უზნაძის ქ. N52**
საკონტაქტო პირები:
ქ-ნი **სოფიო გორგოძე**
ოთახი N102
ტელ: 95-83-13; 95-98-37
ელ.ფოსტა: g

ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**
ოთახი N205
ტელ: 95-79-88
ელ.ფოსტა: gep@mes.gov.ge

**განაცხადებისა და ნიმუშების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 1 ნოემბერი.**

**შენიშვნა:** ყველა ნიმუშის მიწოდება უნდა განხორციელდეს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ ხარჯების გაუწევლად. ყველა გადასახადი, საბაჟო და სხვა მოსაკრებელი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა დაიფაროს მომწოდებლის მიერ. განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი არ მიიღებს მოწოდებულ ნიმუშებს ამ გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში.

**დანართი N1**

**დამხმარე საკითხავი მასალისა და საგანმანათლებლო თამაშების მოწოდების წესები:**

- მომწოდებლებმა 2005 წლის 1 ნოემბრის 18:00 სთ-მდე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ფორმატით შედგენილი ფინანსური განაცხადები (იხ. დანართი N2) და წარმოსადგენი მასალების ნიმუშები საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მისამართზე. ნიმუშების შეფასების შემდეგ შერჩეული ნიმუშები შეინახება შემდგომში შეკვეთების შესაბამისად მიღებულ მასალებთან შესადარებლად. შესყიდვის დასრულების შემდგომ, მომწოდებლის სურვილისამებრ, აღნიშნული ნიმუშები დაუბრუნდება მომწოდებელს ან დარჩება საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მფლობელობაში. ნიმუშების დაბრუნების შემთხვევაში ხარჯებს დაფარავს მომწოდებელი.

- ფინანსურ განაცხადებში დაფიქსირებული ფასები საბოლოოა და არ ექვემდებარება ცვლილებას.

**ფინანსური განაცხადების ძალაში ყოფნის ვადაა 2006 წლის 1 ივნისი.**

- მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული მასალის ხარისხისა და დამზადების პარამეტრების პირველადი ნიმუშის აღწერილობასთან შესაბამისობა.

- მომწოდებლები მიიღებენ საბითუმო შეკვეთებს პროექტის საკოორდინაციო ცენტრისაგან. მომწოდებელი ვალდებულია მასალების მოწოდებაზე თბილისში, საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მისამართზე. საქონლის მოწოდება გულისხმობს მომწოდებლის მიერ ყველა საბაჟო მოსაკრებელისა და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი გადასახადის დაფარვას.

წინამდებარე ინფორმაცია ასევე გამოქვეყნებულია პროექტის "ილია ჭავჭავაძე" ვებ-გვერდზე:

**www.reform.edu.ge** (იხ. ვაკანსიები და განცხადებები)

**დანართი N2**

**ფინანსური განაცხადი**

განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრს

თარიღი: -----------------

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ვადასტურებთ აღნიშნული დოკუმენტაციის დროულად მიღების ფაქტს, თანხმობას ვაცხადებთ მონაწილეობის მიღებაზე და შემდგომში მასალის მოწოდებაზე.

**მასალის აღწერილობა:**

| მასალის კატეგორია | მასალის დასახელება | ერთეულის ფასი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

[1] ერთეულის ფასი ითვალისწინებს მასალების დანიშნულების ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა საბაჟო გადასახადსა და სხვა მოსაკრებელს.

ჩვენი განაცხადის მიღების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას, უზრუნველვყოთ ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობით მასალის მოწოდება.

თანხმობას ვაცხადებთ ზემოთ აღნიშნული თარიღიდან 2006 წლის 1 ივნისამდე ვიხელმძღვანელოთ მოცემული ფინანსური განაცხადით.

მონაწილე ფირმის დასახელება და მისამართი:
უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:
ბეჭდის ადგილი:

# "მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები



6



12



9







ნინო ბერეკაშვილი
ასაკი: 21 წლის
სიმაღლე: 177 სმ
პარამეტრები: 88-60-88

**- სად სწავლობ?**

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე, მეხუთე კურსზე. კარდიოლოგი მინდა, რომ გამოვიდე. ძალიან შრომისმოყვარე ვარ და საქმეს ყოველთვის სერიოზულად ვუდგები. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციაში "საქართველოს კულტურულ-დემოკრატიული განვითარებას კავშირშიც" დავიწყე მუშაობა. იქ მედიცინისა და სოციალური დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ვარ. ჩვენი კავშირი სტუდენტური ორგანიზაციაა. ვაწყობთ ტრენინგებს აქტუალურ თემებზე, ვთქვათ, ნიკოტინისა და ნარკოტიკის საფრთხეზე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ვგეგმავთ უფასო სამედიცინო კონსულტაციას და სხვადასხვა აქციებს.

**- რატომ გადაწყვიტე მოდელობა?**

- მეოთხე წელია, მოდელი ვარ. თავიდან სააგენტო "შარმში" მივედი, იქ ვისწავლე პროფესიული სიარული და იქვე შევეჩვიე პოდიუმს. თავიდან ამით მხოლოდ ვერთობოდი. იმდენად ბევრს ვშრომობდი უნივერსიტეტისთვის, რომ მივხვდი, გახალისება მჭირდებოდა. მეგობრებს ჩემი იდეა ძალიან მოეწონათ, შემდეგ მშობლებმაც დამიჭირეს მხარი.

**- ეს შენთვის პირველი კონკურსია?**

- დიახ, ეს პირველია და ვხვდები, რომ ცოტა სხვანაირი სპეციფიკა აქვს. გაცილებით უფრო საინტერესო პროცესია. კონკურსანტი გოგონები სულ ერთად, ბევრ რამეს ვსწავლობთ, ვმეგობრობთ, გამოცდილებას ვიგროვებთ. მომწონს.

**- გამარჯვებაზე სერიოზულად ფიქრობ?**

- ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. ცდა ბედის მონახევრეა და ვნახოთ, რა გამომივა. ისე ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი მაინც ყოველთვის ჩემი პირველი პროფესია იქნება.

ნინო სურგულაძე
ასაკი: 16 წლის
სიმაღლე: 176 სმ.
პარამეტრები: 85-60-90

**- კონკურსში, ალბათ, პირველად მონაწილეობ?**

- არა, მე ქუთაისიდან ვარ და პირველად 2001 წელს მივიღე მონაწილეობა კონკურსში "მის ქუთაისი-2001" და გავიმარჯვე კიდეც. ამის შემდეგ, მოდელობაზე სერიოზულად დავიწყე ფიქრი, მაგრამ ასაკი ხელს არ მიწყობდა. როცა 16 წლის გავხდი, "მის იმერეთის" კონკურსში გავედი და იქაც პირველი ადგილი მოვიპოვე - "მის იმერეთი-2005" გავხდი. შემდეგ უკვე აქაც გამიმართლა. სხვათა შორის, ყველაზე პატარა მონაწილე ვარ.

**- გამოდის, ბავშვობიდან მოდელობაზე ფიქრობ, ვარსკვლავობაზეც ოცნებობ?**

- დიახ, ყოველთვის მომწონდა ეს სფერო. სარკესთან ხშირად ვიდექი ხოლმე და სილამაზის ყველა კონკურსს ვუყურებდი, რასაც ტელევიზიით აჩვენებდნენ. ვარსკვლავობა ნამდვილად მინდა. სკოლას რომ დავამთავრებ, ტელე-ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარებ. მოდელობა და ტელეჟურნალისტობა თითქმის თანაბრად მინდა. ცნობილი სახე მინდა, რომ გავხდე.

**- გჯერა გამარჯვების?**

- საერთოდ ოპტიმისტი ვარ, მაგრამ გამარჯვებაზე ნაკლებად ვფიქრობ. მინდა, ამ კონკურსის შემდეგ მეგობრები დამრჩეს და ეს დღეები ჩემთვის ლამაზი და სამახსოვრო იყოს.

ხმა მიეცით თქვენს რჩეულს
და აირჩიეთ
**"ტელემაყურებლის სიმპათია"**:
SMS მაგთი 1060
SMS ჯეოსელი 1040
ეწვიეთ ჩვენს საიტს
www.missgeorgia.ge
და გამოავლინეთ
**"მის-ფოტოგენურობა"**

სოფო სვიმონიშვილი
ასაკი: 17 წლის
სიმაღლე: 175 სმ.
პარამეტრები: 88-63-93
სცენა გიყვარს?

სცენაზე თავს ძალიან თავისუფლად ვგრძნობ. შიში ასვლის წინ არ მეუფლება ხოლმე. ალბათ, გამოცდილების გამოც. მე რუსთავიდან ვარ და შარშან რუსთავის სილამაზის კონკურსში მივიღე მონაწილეობა. გავიმარჯვე და "მის რუსთავი-2004" გავხდი. შემდეგ მოდელობით უფრო მეტად დავინტერესდი და ამიტომაც გადავწყვიტე ამ კონკურსში მონაწილეობა.

**- სად სწავლობ?**

- წელს ჩავაბარე თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტში. ვსწავლობ უცხო ენებისა და კომპიუტერების ფაკულტეტზე.

**- რას ელი კონკურსისგან?**

- წინასწარ თქმა ძნელია. არც ის ვიცი, მომავალში როგორ მოვიქცევი - მოდელობას მოვკიდებ უფრო სერიოზულად ხელს, თუ თარჯიმან-რეფერენტის კარიერას. ეს კონკურსის შედეგზე იქნება დამოკიდებული.

**- რა მოგწონს შენს ხასიათში?**

- მშვიდი ვარ, გაწონასწორებული და მხიარული.

# ჰიტლერი ევროპას ტურისტული რეჟიმისთვის ამზადებდა

გამარჯვების შემთხვევაში ნაცისტები ბერლინში მასშტაბური გასართობი ცენტრის აშენებას გეგმავდნენ. მას ტურისტების ყურადღება უნდა მიეპყრო. ამის შესახებ ნათქვამია 1940 წლის 23 ივლისით დათარიღებულ დოკუმენტში, რომლის ავტორიც მაშინდელი გერმანიის ელჩი იტალიაში ჯუზეპე რენცეტი იყო.

ამბობენ, რომ რენცეტი იტალიელ დიქტატორ ბენიტო მუსოლინისა და ადოლფ ჰიტლერს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. რენცეტის ანგარიშიდან ცნობილი გახდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ნაცისტური გერმანია ტურისტების მოზიდვაზე იზრუნებდა. ამასთან დაკავშირებით ბერლინში გასართობი ცენტრის მშენებლობა იგეგმებოდა. "ეს იქნება ევროპაში ყველაზე ლამაზი, ყველაზე თანამედროვე და ელეგანტური შენობა, - წერდა რენცეტი, - ამ იდეამ ფიურერის ნამდვილი მოწონება დაიმსახურა".

რენცეტის თქმით, უკვე შერჩეულია ღამის კლუბის ადმინისტრატორი. გარდა ამისა, კლუბი დახურული დაწესებულება იქნება. აქ მხოლოდ უცხოელი ტურისტები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ბერლინის ნაღები საზოგადოების წევრები დაიშვებიან.

ანგარიშში მითითებულია, რომ ბერლინმა ჯერ კიდევ არ იცის, ომის შემდეგ რა უნდა მოიმოქმედოს დიდ ბრიტანეთში. ზოგს მისი მიწასთან გასწორება, ზოგსაც - შენარჩუნება სურდა. რენცეტის აზრით, ფიურერს ალბიონის შენარჩუნება უნდოდა. "ჰიტლერი გერმანელი ანგლოფილების ინტერესებს ითვალისწინებდა. ასევე შიშობდა, რომ ბრიტანული იმპერიის ნგრევა სხვა ქვეყნებისთვის მომგებიანი იქნებოდა", - წერს დიპლომატი. ჰიტლერი მიიჩნევდა, რომ ბრიტანეთის მრეწველობას გერმანიის გაძლიერება შეეძლო.

ანგარიშის დასასრულს რენცეტის გერმანიის მთავრობის წევრებისგან ჩამორთმეული ინტერვიუები მოჰყავდა. ნაცისტები უკვე ნაომარ ევროპას მოიაზრებდნენ ტერიტორიად, რომლის მოსახლეობაც გერმანიის შიშსა და რიდში იარსებებდა. ნაცისტების ხედვით, გერმანიის ეკონომიკა მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული იტალიურთან. მაგალითად, ჰიმლერთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მისთვის მთავარი შიდაპოლიტიკური ვითარებაა, "რომლის მოწესრიგებაც ომის შემდეგ ყოველთვის გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება".




## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**

წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 000 ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში და ვერ დააგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი, 17:00 სთ.

ყოველ სამშაბათს, 12 საათზე ჩატარდება კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201 E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

# მძარცველები ძველ რუკებზე ნადირობენ

მსოფლიო ძველებური რუკების გაქრობის ეპიდემიამ მოიცვა და სპეციალისტების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. უგზო-უკვლოდაა დაკარგული იშვიათი რუკები ბრიტანეთის, ბოსტონის, ნიუ იორკის ბიბლიოთეკებიდან, იელის უნივერსიტეტიდან. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ მძარცველები იდენტური სქემით მოქმედებენ.

სპეციალისტები ყველა ბიბლიოთეკისა და ინსტიტუტის ადმინისტრაციას ფონდების გადამოწმებისკენ მოუწოდებენ. უკანასკნელი ძარცვა ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში 2005 წლის ზაფხულში დაფიქსირდა, მაგრამ ძარცვის დეტალების შესახებ მხოლოდ სექტემბერში გახდა ცნობილი. ქურდებმა რუკები მეთექვსმეტე საუკუნის წიგნებიდან ამოჭრეს. ექსპერტები მათ ღირებულებას რამდენიმე ათას ფუნტ სტერლინგად აფასებენ.

ერთ-ერთი ლონდონელი სპეციალისტის შეფასებით, დამნაშავეებმა კარგად იციან რას ეძებენ, რადგან ვილაცის შეკვეთას მიზანმიმართულად ასრულებენ. ჩანს, ამ დანაშაულის ინიციატორი მშვენივრად ერკვევა ძველ წიგნებში.

შესაძლებელია რუკებზე მონადირეებმა უკვე ასობით წიგნი გააფუჭეს, მაგრამ ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

**ორმოცი დღე გავიდა, რაც ბატონი ოთარ ზალდასტანიშვილი გარდაიცვალა. მისი სულის მოსახსენიებლად ორშაბათს, 19 სექტქმბერს 18 საათზე აღევლინება პანაშვიდი წმინდა მიქაელ ტვერელის სახელობის ტაძარში. პანაშვიდის შემდეგ გაიმართება მიღება ბატონი გივი ზალდასტანიშვილის ბინაში, მისამართზე: ვერის მე-2 შესახვევი, I სადარბაზო, I კორპუსი, ბინა N12.**

